სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 7 ნოემბერი 2006 №258 (2880) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახო წასულა

პორტუგალია დღეს იწყებს

ბადრი კეთილაძის ფოტო

შაბათს, 11 ნოემბერს, განახლებულ „ერონულზე“ დიდი რაგბია. საგაისო მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპის მესამე რაუნდში საქართველოს ნაკრები პორტუგალიას მასპინძლობს. საპასუხო მატჩი 25 ნოემბერს ლისაბონში გაიმართება და ამ წყვილში გამარჯვებული პირდაპირ გავა მსოფლიო თასზე. წაგებული კი ბოლო შანსსღა ინარჩუნებს და რეპეშაჟით შეეცდება საფრანგეთში გასამართ მუნდიალზე მოხვედრას.

საშაბათო მატჩისთვის ლეგიონერებ-შინაურებიანად „ლელოები“ დღეს შეიკრიბებიან. აქვე ვთქვათ, რომ პრინციპული მატჩის წინ ნაკრების სამწვრთნელო შტაბს დავთრები აერია, რაკი ამ უქმეებზე საფრანგეთის ჩემპიონატში დაშავდნენ შერკინების ბურჯი დავით ზერაქაშვილი და მელელოვე მალხაზ ურჯუკაშვილი, კიდევ ერთი მექულე ირაკლი მაჩხანელი კი ვერც საშაბათოდ მომჯობინდა. სამაგიეროდ, ნაკრებს დაუბრუნდა ვეტერანი ათი ნომერი პალიკო ჯიმშელაძე.

საპორტუგალიო 22-კაცა რაზმი ასეთია:

შერკინება

მამუკა მაგრაქელიძე (მეტრო-რასინგი, საფრანგეთი), გოდერძი შველიძე (კლერმონი, საფრანგეთი), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი), ლევან დათუნაშვილი (მონლუსონი, საფრანგეთი), ილია ზედგინიძე (ოში, საფრანგეთი), მამუკა გორგოძე (მონპელიე, საფრანგეთი), ბესიკ უდესიანი (შალონი, საფრანგეთი), დავით ხინჩაგაშვილი (ბურგუენი, საფრანგეთი), ავთო კოპალიანი (მონტობანი, საფრანგეთი), ილია მაისურაძე (ნანტი).

უკანა ხაზი

გიორგი ელიზბარაშვილი (აკადემია, საქართველო), ბესიკ ხამაშურიძე (უგუნდო), რევაზ გიგაური (მონლუსონი, საფრანგეთი), ირაკლი გიორგაძე (ბურგუენი, საფრანგეთი), გიორგი შკინინი (ბლუა, საფრანგეთი), ბიძინა სამხარაძე (კონსტანცა, რუმინეთი), თემურ სოხაძე (ვიარზონი, საფრანგეთი), ირაკლი აბუსერიძე (ორლეანი, საფრანგეთი), დავით კაჭარავა (ყოჩები, საქართველო).

STAR ☆ ᲩᲘ

ზაზა ფაჩულია ატლანტას ატლანტია



ზაზა ფაჩულია „ატლანტა ჰოქსში“ სკამის მხეხავად და არამი ფულის მკეთებლად რომ არ ირიცხებოდა, წინა სეზონშიც ვნახეთ, ახლა კი ზაზა თავისი გუნდის ერთ-ერთ ლიდერადაც ჩაითვლება. ფარებს არ ლეწავს, მაგრამ ქართველი ცენტრი ძალიან სტაბილურად თამაშობს, კვირას თავის ყოფილ გუნდ „ორლანდოს“ 25 წუთში 17 ქულა ჩაუგდო და სამ თამაშში 54 ქულა მოუგროვდა. მისმა გუნდმაც ამ სამი საწყისი მატჩიდან მეორე მოიგო და ბოლო ოთხ წელიწადში პირველად გამოუვიდა დადებითი ბალანსი მოგებაწაგებათა გრაფაში.

ნუ აბროვებთ თქმულებებს!

სადისციპლინო კომიტეტი ფოლკლორის კაბინეტი არ არის

ბადრი კეთილაძის ფოტო

ბადრი კეთილაძის ფოტო

სათქმელს ერთი პირიც სჭირდება და ერთი ფირიც

თასი აშენდა და აივსო

რომელი საუკუნეა? ფირი არ არსებობს?

საინტერესო ამბები საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგიდან: დღეს პროფლიგა და მისი სპონსორები იმ პროექტის პრეზენტაციას გამართავენ, რომლის მიხედვითაც დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების ნახევარფინალისტებს, ფინალისტებსა და, ბუნებრივია, გამარჯვებულს სოლიდური ფულადი დაინტერესება ექნებათ. პრემიალური თანხის რაოდენობა ჯერ არ კონკრეტდება, როგორც პროფლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა გვითხრა, თანხა სწორედ დღევანდელ პრეზენტაციაზე სწორედ სპონსორისგან დასახელდება, სპონსორი კი „ყაზბეგია“.

მეორე მნიშვნელოვანი ამბავი: გუშინ დიმიტრი რამიშვილი ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის წევრს ტატო ლასხიშვილს შეხვდა და კატეგორიულად მოითხოვა, რომ ამასწინანდელი „გურია“ — „მესხეთის“ სკანდალურად ჩაშლილ მატჩს სტკ ისევ მიუბრუნდეს და დეტალურად იმსჯელოს იმ დიდ ჩხუბზე, რომელიც იმ შეხვედრისას ატყდა...

გადრი ჯეიდლაძის ფოტო

— პროფლიგა ნელ-ნელა ცდილობს, ჩაფიქრებული პროექტები განახორციელოს და სწორედ ერთ-ერთი ასეთი პროექტის პრეზენტაცია იქნება სამშაბათს — გვითხრა გუშინ დიმიტრი რამიშვილმა — დიდი მადლობა კომპანია „ყაზბეგს“, რომელიც ამ საქმეში გვერდით დაგვიდგა და რომელიც იქნება კიდეც თასის გათამაშების სპონსორი. აქვე გეტყვით, რომ პროფლიგას ჰყავს ერთი ახალი სპონსორიც — დეველოპერული კომპანია „აქსისი“, ეს ფირმა ჩვენს სხვა წამოწყებებსაც დააფინანსებს.

—როგორ გადანაწილდება ის საპრიზო ფონდი, რომელიც ნახევარფინალისტების, ფინალისტების და თასის მფლობელისთვის არის გათვალისწინებული?

— თანხას სპონსორი იტყვის, სამშაბათს ყველაფერზე დეტალურად ვისაუბრებთ. ძალიან კარგია, რომ პროფლიგას ახალი სპონსორები ჰყავს და სასიხარულოა, რომ ისინი ქართული კომპანიები არიან.

— ეს პროექტი მართლაც კარგი და საინტერესოა, თუმცა აქვე ცოტა უსიამოვნო ამბავზეც უნდა გკითხოთ. გავიგეთ, რომ დღეს სადისციპლინო კომიტეტის წარმომადგენელს შეხვდით. რაზე ისაუბრეთ?

— დიახ, დღეს შევხვდი ტატო ლასხიშვილს და პირველი ლიგის „გურია“ — მესხეთის“ სკანდალურ მატჩზე ვისაუბრეთ. მიმაჩნია, რომ სადისციპლინო კომიტეტმა ამ თამაშზე შესაფერისი გადაწყვეტილება არ მიიღო. სტკ-მ მხოლოდ მონაყოლით და დირექტორისა და მსაჯების პატაკებით იხელმძღვანელა. დისციპლინარებს ამ შეხვედრისა და ჩხუბის ფირი არ უნახავთ. არადა, კომიტეტის სხდომაზე ეს ფირი გუნდებს უნდა წარმოედგინათ, შეთანხმებულებიც ვიყავით, მაგრამ რატომღაც მათ სადიციპლინო კომიტეტს ფირი არ მისცეს. რატომ, ვერ გეტყვით, ესეც გარკვეულ ეჭვებს იწვევს. მადლობა ტელეკომპანია „იმედს“, ეს ფირი თავისი ეთერით რომ აჩვენა. ხვალ ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი თბილისში იქნება და მას ამ ამბის თაობაზე აუცილებლად ვესაუბრები. სადისციპლინო კომიტეტი კი ჩვენი მოთხოვნით დაუბრუნდება „გურია“ — „მესხეთის“ ინციდენტს, მომხდარზე თავიდან იმსჯელებს და სათანადოდ შეაფასებს.

ძოგა ინასარიძე

ძმები ძმურად ჩამოვიდნენ



საქართველოს ნაკრების თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი ძმასთან, ჰაინცთან ერთად დღეს გამთენიისას ჩამოფრინდა თბილისში. ურუგვაისთან ამხანაგურ მატჩამდე რვა დღე დარჩა, მანამდე კი, 11 ნოემბერს საქართველოს თასის ჯგუფური ეტაპის მატჩებია და ჰერ კლაუსი ერთ-ერთ შეხვედრას დაესწრება.

როდის დაიწყება ნაკრების შეკრება? როგორც ტოპიმ ადრევე თქვა, გუნდი 12 ნოემბრის საღამოდან შეიკრიბება.

ეს რაც შეეხებათ ტოპმიოლერებს, რალფ მინგე კი, გეცოდინებათ, სამი დღის წინ ჩამოვიდა თბილისში და კვირას „ამერი“ — „მერანს“ დაესწრო.

ილია ნანოგაშვილი

3 უკრაინა და 1 საქართველო

15 ნოემბერი სანაკრებო დღეა და საქართველოს ეროვნული გუნდი ამხანაგურ მატჩში ურუგვაის რომ გაეჯიბრება, რა შეხსენება გჭირდებათ.

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ იმ მსაჯთა ვინაობა შეიტყო, რომლებიც ამ მატჩს განსჯიან: მთავარი მსაჯი ვიტალი გოდილინი იქნება, თანაშემწეები ვიქტორ სუსლო და ალექსანდრ ჟურბა (სამივე უკრაინა), სათადარიგო არბიტრობა კი ლევან კვარაცხელიას დაეკისრება.

ძახა შალამბერიძე

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

ჩვენი მეტოქე



არგენტინა საფრანგეთმა დაგვასწრო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია არგენტინელებთან რომ აწარმოებს მოლაპარაკებას, არაერთხელ გამცნეთ. გუშინ კი გაირკვა, რომ 2007 წლის 7 თებერვალს არგენტინა ამხანაგურ მატჩში ჩვენს მეტოქეს, რაიმონ დომენეკის საფრანგეთს პარიზში გაეჯიბრება. მხარეები იმაზეც შეთანხმდნენ, რომ ამ მატჩის გარდა 2009 წლამდე კიდევ ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს.

შეგახსენებთ, რომ არგენტინასთან თამაშის საკმაო შანსი საქართველოსაც აქვს — სავარაუდო თარიღი 2007 წლის 12 სექტემბერია, მატჩის ადგილი კი ეროვნული სტადიონი.

ძახა შალამბერიძე

რაიმონ დომენეკი

გადრი ჯეიდლაძის ფოტო

მსაჯმა გულშემატკივრებს შეაგინა — მსგავსი პრეცედენტი სადმე თუ ყოფილა, არ ვიცი, მაგრამ გლდანში კი იყო. ამაზე არაერთხელ დავწერეთ — მალხაზ ბეუქლიშვილის საქციელს გამართლება არანაირად არა აქვს. მიხვდებოდით, ლაპარაკია „ამერი“ — „ლოკომოტივის“ მატჩისას მასპინძელთა ქომაგებისკენ ნასროლ გინებაზე, რასაც „ამერის“ ხელმძღვანელობის სამართლიანი აღშფოთება მოჰყვა. ახლა კი მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილების ხელმძღვანელ ამირან კაჭახიძეს მოვუსმინოთ...

ამირან კაჭახიძე:

ბეუქლიშვილი საკმაოდ დაისაჯა

— გულშემატკივარი იმისაა, რომ სტადიონზე ემოციები გამოხატოს. სხვა საქმეა ბეუქლიშვილის საქციელი, რასაც ვერაფრით მოვიწონებთ. „ამერი“. — „ლოკომოტივის“ თამაშის შემდეგ ბეუქლიშვილმა მითხრა, ქომაგმა შემაგინა, ვერც მე მოვთოკე ნერვები და ამისთვის ბოდიშს ვიხდიო. მან მოიბოდიშა, რაც კაცურ საქციელად ჩავუთვალე. ბეუქლიშვილმა მთხოვა, „ამერის“ ხელმძღვანელობას შემახვედრე, მათაც უნდა მოვუბოდიშოო. მალხაზის გინება მაინცდამაინც „ამერის“ და მთლიანად ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებისკენ არ იყო მიმართული. ბეუქლიშვილს სასტიკი საყვედური გამოვუცხადეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელმეორე პრეცედენტის შემთხვევაში სეზონის ბოლომდე აეკრძალება მსაჯობა.

— და მაინც, ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია ნამეტანი ლმობიერი სასჯელი ხომ არ არის?

— მე ასე არ ვფიქრობ. ბეუქლიშვილი დანიშნული იყო მომდევნო ტურში, ხოლო შემდეგ ტურს ტოვებდა, მაგრამ სარეზერვო არბიტრი იქნებოდა. ამასთან, იგი არ იმსაჯებს პირველი ლიგის შეხვედრებსაც. საერთო ჯამში, 500-ლარიანი დანაკლისი იწვნია. მალხაზი ერთადერთი მსაჯია კახეთიდან, ჰყავს ოჯახი და ნაქირავებში ცხოვრობს, ფაქტობრივად, მისი ოჯახი ულუკმაპუროდ რჩებოდა. შეეშალა კაცს — რა ვუყოთ, დავახრჩოთ, მოვკლათ?! მით უმეტეს, ბეუქლიშვილმა ალალად მოიბოდიშა.

— ჩვენთან საუბარში პროფლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმაც განაცხადა, მსაჯები რბილად დაისაჯნენ და ამ საკითხს ნოდარ ახალკაცის თბილისში ჩამოსვლის შემდეგ განვიხილავთო...

— დიმიტრი რამიშვილის საყვედური მივიღე — პროფლიგის პრეზიდენტია და თავისი მოსაზრება გამოთქვა. იურისტი ვარ და ვიცი, ადამიანის გამოსწორების საუკეთესო საშუალება მაინცდამაინც სასჯელის გაზრდა არ არის. რამიშვილმა ისიც თქვა, მსაჯები რომ ცოტანი არიან საქართველოში, კაჭახიძის ბრალიაო. ჩემი ბრალი არაა, ბევრ მათგანს ასაკი ჰქონდა გადაკეთებული, ბევრიც არაკომპეტენტური იყო და რა მექნა, ისინი დამეტოვებინა სამსახურში?! ამასთან, ის განაჩენი მარტო მე კი არა, მსაჯთა და დამკვირვებელთა სადისციპლინო კომისიამ გამოიტანა, მე კი, როგორც სხვებს, ერთი ხმის უფლება მქონდა.

— პირველი წრის ბოლო ტურში „ვიტ ჯორჯია“ — „ამერს“ ბეუქლიშვილი იმსაჯებს. ეს არ შექმნის რაიმე პრობლემას?

— დიახ, ბეუქლიშვილი იმსაჯებს და უნდა იმსაჯოს კარგად, თავი არავის უნდა მოუხაროს. მე პატივს ვცემ „ამერს“ და ამაში ეჭვი არავის უნდა შეეპაროს. ამ გუნდის გულშემატკივრებიც კარგად იქცევიან. გასაწირი მსაჯები არ მყავს-მეთქი, რომ ვთქვი, რატომღაც სხვანაირად მიიღეს. მსაჯი დაუცველი არ უნდა იყოს...

ილია ნანოგაშვილი

იტალია

სერია B. X ტური

ნაპოლი 1:1 იუვენტუსი

შოტლანდია

პრემიერლიგა. XIII ტური

ინვერნესი 1:1 აბერდინი

ინგლისი

ჩემპიონატი. XVI ტური

სტოკი 1:0 ძოვენთრი

საფრანგეთი

მეორე დივიზიონი. XV ტური

მეცი 1:0 ამიენი

პორტუგალია

სუპერლიგა

IX ტური

სპორტინგი 3:0 ბრაგა

სეტუბალი 0:3 პორტუ

ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა

XIII ტური

ლიბერეცი 0:0 სპარტა

ირლანდია

პრემიერლიგა

გადადებული მატჩი

სენტ პატრიკსი 0:1 კორკი

საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
I წრე. 11 ტური

თავდაჯერებული ლიდერები

თქვენს განკარგულებაშია 13 დღე

ზესტაფონი 3:0 სიონი
ვიტ ჯორჯია 2:1 დინამო
ამერი 4:0 მერანი
ლოკომოტივი 0:3 ტორპედო
ჩიხურა 1:0 ბათუმი
ოლიმპი 5:1 დილა
ჯახეთი 0:2 ბორჯომი

ვიტელებმა „დინამო“ მცხეთიდან ამჯერადაც უჭულოდ გამოისტუმრეს

ფოტო ალ. ფალავანდიშვილის

მეთერთმეტე ტური 5 ნოემბერს გაიმართა, მომდევნო კი 18 ნოემბერს იქნება — შუალედში სათასო ტური და ეროვნული ნაკრების თამაში ურუგვაისთან — ცამეტი დღე ცოტა არ არის, ცამეტ დღეში მინი-შეკრების მოწყობაც შესაძლებელია, რათა გუნდი მოღონიერდეს და უკეთ ათამაშდეს, თუმც ასეთი მეთოდი ჩვენში დიდად პოპულარული არ არის

ასეთი მეთოდის გამოსაყენებლად საუკეთესო საშუალება „დინამო თბილისს“ აქვს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დინამოელებს თავიანთი ბაზა გააჩნიათ თბილისის არცთუ პერიფერიულ უბანში. „დინამოს“ თავკაც დუშან უჭრინის განკარგულებაში სხვა მეთოდებიც უნდა იყოს გუნდის მოსაღონიერებლად, მაგრამ... როგორ მოღონიერდებიან ის გუნდები, რომლებსაც არც ბაზა აქვთ, არც ფული და აღარც იმედი?

თელავის „კახეთის“ მწვრთნელმა ჯემალ მახარაშვილმა შინ „ბორჯომთან“ მარცხის შემდეგ განაცხადა, დაფინანსება აღარ გვაქვს და გუნდის გადარჩენა შეუძლებელიაო.

გორის „დილას“ და მის მწვრთნელ რევაზ მამესწარაშვილს კი უკვდავი იმედი აქვს, რომ მალე გუნდი ფინანსურად მოძლიერდება.

„დილა“ და „კახეთი“ ცხრილის ბოლოში არიან, ამ ეტაპზე მათ მეტი, უბრალოდ, არ შეუძლიათ, თერთმეტი მატჩიდან ერთიც ვერ მოუგიათ.

სანამ აუტსაიდერები იკვეთებიან, ცხრილის ზედა ნაწილში ძალიან ჩაიხლართა სიტუაცია. „ამერის“ და „ოლიმპის“ გარდა პირველობისთვის ბრძოლის შანსი და ჯანი კიდევ სამ გუნდს აქვს — „ვიტ ჯორჯიას“, „ზესტაფონს“ და „დინამოს“. დინამოელთა მსგავსად, 21 ქულა აქვს ქუთაისის „ტორპედოსაც“, თუმც არა გვგონია, ტორპედოელები ამ სეზონში ჩემპიონობას უმიზნებდნენ.

მეთერთმეტე ტურის მთავარი მატჩი მცხეთაში იყო. „ვიტ ჯორჯიამ“ ერთხელაც დაამტკიცა, რომ „დინამოს“ ბუაა — ივო შუშაკი, გია გეგუჩაძე, კახა ცხადაძე, ანდრეი ჩერნიშოვი, დუშან უჭრინი — ვის ხელშიც არ იყო „დინამო“, ვიტელები ყოველთვის ამწარებდნენ საქართველოს უტიტულოვანეს გუნდს.

მოულოდნელობა იყო „დინამოს“ უნიათო გარჯა პირველ ტაიმში. მოულოდნელობა იყო ისიც, რომ უჭრინმა ასეთ პრინციპულ შეხვედრაში კარგა ხნის უთამაშებელი შოთა გრიგალაშვილი სასტარტოში გაამწესა...

ვფიქრობთ, „დინამოს“ მარცხი „ვიტ ჯორჯიასთან“ სხვათა გარდა იმანაც განაპირობა, რომ უჭრინი ჯერ არ არის ბოლომდე გარკვეული აქაურ ვითარებაში. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ საამსეზონოდ „დინამო“ უჭრინს არ მოუმზადებია — ჩეხი სპეციალისტი გუნდს ოდენ მეექვსე ტურიდან ხელმძღვანელობს.

„ამერისთვის“ და „ოლიმპისთვის“ საუკეთესო ვარიანტი ის იქნებოდა, „ვიტ ჯორჯია“ — „დინამო“ ფრედ დასრულებულიყო — ვიტელებმა ამ გამარჯვებით არცთუ მოკრძალებული პრეტენზია გამოთქვეს უმაღლესი მიზნისთვის საბრძოლველად. რაც შეეხება „დინამოს“, უნდა ვივარაუდოთ, რომ მეორე წრეში უკეთესი შედეგი ექნება, მაგრამ ისიცაა, რომ უჭრინს საამისოდ ახალი, ძლიერი ფეხბურთელებიც დასჭირდება.

„ამერი“ იოლად გაუსწორდა „მერანს“. აღსანიშნავია 23 წლის ამერელი დიმიტრი ტატანაშვილის კარგი თამაში ბოლო მატჩებში — მისი ჩაუქობა „ამერის“ შეტევებს მრავალფეროვნებას და ლაზათს მატებს. თავდასხმაში „ყვითლების“ განკარგულებაში კიდევ გამოცდილი სულიკო დავითაშვილი და 18 წლის რატი წინამძღვრიშვილია, ვინც კლაუს ტოპმიოლერმა ურუგვაისთან მატჩისთვის გამოიძახა — ასეთ თავდასხმასთან გამკლავება ჩვენს ჩემპიონატში ვის არ უნდა გაუჭირდეს?!

ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემას რუსთავის „ოლიმპი“ 18 ნოემბერს შეეცდება გლდანში „ამერთან“ შეხვედრაში. მანამდე კი ოლიმპელებმა „დილასთან“ წაივარჯიშეს. ცხადია, თავისი კოზირები აქვთ რუსთაველებსაც — ოპტიმალურ ფორმაში შევიდა შემტევი ნახევარმცველი რევაზ გეწაძე, რომელმაც „დილას“ სამი გოლი გაუტანა. „ამერთან“ მატჩისთვის დისკვალიფიკაცია მოხდილი ექნება „ოლიმპის“ წამყვან ნახევარმცველ თორნიკე აფციაურს...

მოკლედ, ლიდერთა შეხლას მარილი არ უნდა აკლდეს — მეთერთმეტე ტურში „ამერმაც“ და „ოლიმპმაც“ თავდაჯერებული, სალიდერო თამაში გვაჩვენეს.

ამ ტურში მეოთხე ადგილზე აღზევებულ „ზესტაფონს“ ისეთი კალენდარი აქვს, პირველი წრის დარჩენილ ორ შეხვედრაში ალბათ ქულათა მაქსიმუმს მოინაგრებს და ან „ამერთან“ დაამოკლებს სხვაობას, ან „ოლიმპთან“, ან ორივესთან.

ჩემპიონი „სიონი“ კი ასეთი თამაშით ჩემპიონობის შენარჩუნებისთვის ნამდვილად ვერ იბრძოლებს, თანაც ლიდერს უკვე თორმეტი ქულით ჩამორჩება.

დავით თავართქილაძე

ამერი	11	9	2	0	23:2	29
ოლიმპი	11	9	1	1	29:3	28
ვიტ ჯორჯია	11	7	3	1	20:13	24
ზესტაფონი	11	7	3	1	16:3	24
დინამო	11	7	0	4	18:9	21
ტორპედო	11	6	3	2	13:6	21
სიონი	11	5	2	4	15:10	17
ბორჯომი	11	3	2	6	15:21	11
ლოკომოტივი	11	3	2	6	9:16	11
მერანი	11	3	2	6	8:20	11
ჩიხურა	11	2	3	6	8:18	9
ბათუმი	11	2	2	7	9:11	8
დილა	11	0	2	9	5:31	2
ჯახეთი	11	0	1	10	9:34	1

რატი წინამძღვრიშვილმა და დიმიტრი ტატანაშვილმა „მერანს“ თითო-თითო გაუტანეს

ფოტო ალ. ფალავანდიშვილის

ბომბარდირები

5-გელაშვილი	ვიტ ჯორჯია
ალავიძე	სიონი
ფიფია	ზესტაფონი
ტატანაშვილი	ამერი
დოლიძე	ამერი
4-ფეიქრიშვილი	ვიტ ჯორჯია
გოჩაშვილი	ლოკომოტივი
დგალიშვილი	ოლიმპი
იაშვილი	დინამო
სირბილაძე	ოლიმპი
ქებაძე	ოლიმპი
იონანიძე	ზესტაფონი
საჯაია	ბორჯომი/ზესტაფონი
კიკნაძე	ბორჯომი
გაფეზარდაშვილი	ტორპედო
გ. დათუნაიშვილი	ვიტ ჯორჯია

სიმბოლური ნაკრები



მომდევნო ტური

18 ნოემბერი, შაბათი
ბორჯომი – ბათუმი
დინამო – ჩიხურა
დილა – ვიტ ჯორჯია
ამერი – ოლიმპი
ტორპედო – მერანი
სიონი – ლოკომოტივი
ჯახეთი – ზესტაფონი

ნესტორ მუმლაძე: გამართლების მეტი შანსი ჩვენ გვქონდა

თბილისის „ვიტ ჯორჯიამ“ ძალიან მნიშვნელოვანი და პრინციპული მატჩი მოუგო „დინამოს“ — 2:1. ამ წარმატებით ვიტელებმა სატურნირო მდგომარეობაც გამოისწორეს და საკუთარ თავს რწმენაც შემატეს.
„ვიტ ჯორჯიას“ მკაცრად განსაზღვრული საკლუბო პოლიტიკა აქვს, რისი წყალობითაც შარშანწინ საქართველოს ჩემპიონიც გახდა. მიმდინარე სეზონში კი „ვიტ ჯორჯია“ საჩემპიონო გუნდს არ ჰგავდა, თუმც „დინამოსთან“ გამარჯვების შემდეგ ნესტორ მუმლაძის შეგირდები ტიტულის მოპოვების ერთ-ერთ რეალურ კანდიდატებად ითვლებიან.
„ვიტ ჯორჯიას“ მთავარ მწვრთნელთან საუბარი „დინამოსთან“ გუშინწინდელი მატჩით დავიწყეთ...

ბადრი ჯეიმლაძის ფოტო

— რა იყო თქვენი უმთავრესი დავალება ფეხბურთელებისადმი „დინამოსთან“ მატჩის წინ?

— საკუთარი კარის უსაფრთხოება — ეს იყო უპირველესი დავალება. შემდეგ კი სწრაფი გოლის გატანა. როცა ასეთ პრინციპულ შეხვედრაში პირველ გოლს გაიტან, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. რა თქმა უნდა, თითოეულ ფეხბურთელს კონკრეტული დავალებაც მივეცი და, შეიძლება ითქვას, მათ ყველაფერი პირნათლად შეასრულეს.

— „ვიტ ჯორჯიამდე“ „დინამო“ „ოლიმპს“ შეხვდა და 1:0 მოუგო, თქვენთან კი დინამოელებმა სხვა ტაქტიკა-სტრატეგიით ითამაშეს — ელოდით ამას?

— ამისთვის მზად ვიყავით. „ოლიმპთან“ „დინამომ“ მართლაც სხვანაირი ფეხბურთი ითამაშა, რაც მომეწონა კიდეც, გუნდს მწვრთნელის ხელი ეტყობოდა. „ვიტ ჯორჯია“ — „დინამოს“ შეხვედრაში კი დინამოელებს ამის საშუალება არ მივეცით, პირიქით, ჩვენ, ასე ვთქვათ, ფეხზე ვაჯექით მეტოქეს — ფაქტობრივად, ის გავაკეთეთ, რაც „დინამომ“ გააკეთა „ოლიმპთან“. ვფიქრობ, „დინამო“ მომავალში უკეთესად ათამაშდება, ამ გუნდს საამისოდ პირობებიც აქვს და მაღალი დონის მწვრთნელიც ჰყავს.

— თქვით, ფეხბურთელებმა ჩემი დავალება პირნათლად შეასრულესო, თუმც მეორე ტაიმში „დინამო“ უკეთ ათამაშდა, გოლიც გაიტანა, ხოლო დინამოელმა სანდრო იაშვილმა ლამის ყველა მაღალი ბურთი მოიგო...

— რაც „დინამომ“ მეორე ტაიმში ითამაშა, ეს ჩვენ ხელს გვაძლევდა. გამუდმებული მაღალი ჩაწოდებებით ძალიან ძნელია ასეთი თამაშის შემობრუნება — ასეთ დროს გამართლების მეტი შანსი ჩვენ გვქონდა და საქმე გამარჯვებამდე მივიყვანეთ კიდეც. ისიცაა, რომ 2:0 მოგებული პირველი ტაიმის შემდეგ ჩვენს ფეხბურთელებში ცოტა მოდუნება იგრძნობოდა. ისინი გავაფრთხილე, რომ ჯერ ყველაფერი დამთავრებული არ იყო, მაგრამ ორბურთიანმა უპირატესობა მაინც მოქმედებდა მათზე. რაც შეეხება იაშვილს, ის ბრწყინვალე მონაცემების ფეხბურთელია, აქვს მაღალი ნახტომი, რაც უპირატესობას აძლევს მცველებთან ბრძოლაში, მაგრამ მთავარი ხომ ანგარიშია...

— მიმდინარე სეზონში „ვიტ ჯორჯია“, ცოტა არ იყოს, არასტაბილურად თამაშობს, მეშვიდე ტურში „ოლიმპთან“ სულაც 0:4 წააგეთ...

— არა მგონია, ჩვენ არასტაბილურად ვთამაშობდეთ. „ოლიმპთან“ 0:4 პირველი ტაიმის თხუთმეტ წუთში წავაგეთ — ეს ფეხბურთია და ასეთები ხდება. „ვიტ ჯორჯია“ ნამდვილად არ არის ის გუნდი, ასე რომ წააგოს და, ვფიქრობ, ეს შემთხვევითობა იყო. ჩემი აზრით, „ვიტ ჯორჯიას“ ამ სეზონში ჩავარდნა არ ჰქონია. „ბორჯომთან“ 2:2 რომ ვითამაშეთ, ჩვენივე ბრალია, კაცნაკლულნი დავრჩით და ამის გამო კლუბმა დასასჯელი დასაჯა.

— რაც შეეხება „მერანთან“ უგოლო ფრეს, უამრავი საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ ბურთი არა და არ შევიდა მეტოქის კარში...

— წინა სეზონში „ვიტ ჯორჯიასთვის“ ძალიან პრობლემატური იყო თავდასხმის რგოლი. გუნდს ახლა, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი გამოკვეთილი ცენტრფორვარდი ჰყავს — ნიკა გელაშვილი. მიგაჩნიათ, რომ თავდასხმის საკითხი თქვენს გუნდში გადაჭრილია?

— გელაშვილის გარდა ამ პოზიციაზე თამაში შეუძლიათ ღუჭაშვილს და ბერიაშვილს. ვფიქრობ, თავდასხმის პრობლემა გუნდში ნაწილობრივ მოხსნილია. ბოლო მატჩებში ტრავმების გამო ღუჭაშვილი და სახოკია დაგვაკლდნენ, რამაც გუნდზე იმოქმედა. ისე კი, თავდასხმაში თამაში შეუძლიათ ფეიქრიშვილსაც და მელქაძესაც.

— ვიბრძვით მხოლოდ ჩემპიონობისთვის! „ვიტ ჯორჯიაში“ საკითხი ასეთნაირად არ დგას და ეს ფსიქოლოგიურად რამდენად გამართლებულია?

— ეს სწორი მიდგომაა კლუბის პრეზიდენტისგან. „ვიტ ჯორჯიადან“ მარცვალაძე და იმედაშვილი წავიდნენ და, ცხადია, ამან გუნდი დაასუსტა. ახლა კი ახალი გუნდი კეთდება, მოვიდნენ ახალი ფეხბურთელები და ისინი სხვა კლუბებიდან კი არ მოგვიწვევია, შევსება მხოლოდ საკუთარი ძალებით მოვახდინეთ.

— დღევანდელი ძალთა ბალანსით ჩემპიონობის საუკეთესო შანსი რომელ გუნდს აქვს?

— ამაზე ლაპარაკი ნაადრევად მიმაჩნია. ისე კი, ვფიქრობ, საჩემპიონო შანსი „ვიტ ჯორჯიასაც“ აქვს.

დავით თამგართაძილაძე

ადამია-ნი გოლი

ბაქოს „ნეფთჩის“ ქართველი ლიდერი გიორგი ადამია გოლების მანქანად იქცა, არადა, ჩვენიანს კვლავაც ნახევარდაცვაში ათამაშებენ. ექსვიტჯორჯიელმა შემტევმა წინა ტურში ორი გოლი გაიტანა, რომელთაგან ერთ-ერთი ისეთი იყო, მთელი აზერბაიჯანი აალაპარაკა. გუშინ კი ადამიამ 47-ე წუთზე საჯარიმოს გარედან შეასრიალა ბურთი „სიმურგის“ კარში და „ნეფთჩის“ 1:0 მოაგებინა.

რაც შეეხება სხვა „აზერბაიჯანელ“ ქართველებს, „ბაკის“ ამ ტურში არ უთამაშია. ლექსო ინწკირველისა და რომან ახალკაცის „კარვანი“ კი შინ „ინტერს“ 1:1-ზე გაეყარა, ხოლო ვალერი აბრამიძის „ხაზარმა“ სტუმრად „მტკ-არაზს“ 2:0 აჯობა და ლიდერად იქცა. ლენქორანის „ხაზარი“ ერთი ქულით უსწრებს „კარვანს“, რომელსაც მარაგში ერთი თამაში აქვს.

ილია ნანოგაშვილი

ბადრი ჯეიმლაძის ფოტო

სამი თვეა, ფული ალარ გვინახავს

ასეთი ტორპედო მაინც სამეულს უმიზნებს

წინა სეზონში ქუთაისის „ტორპედო“ უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოდა და ამ ამოცანას თავი ბოლო ტურებშიღა გაართვა. მიმდინარე სეზონში კი იმერულ გუნდში რამდენიმე ახალი მოთამაშე გამოჩნდა, მერე კლუბის პრეზიდენტი გრიგოლ ხურციძე დააპატიმრეს და ისე ჩანდა, „ტორპედოს“ ისევ დარჩენა-არდარჩენისთვის მოუწევდა ბრძოლა, თუმც ასე არ მოხდა. „ტორპედომ“ შედეგიანად დაიწყო ჩემპიონატი და ხუთეულში ტრიალებს, რაც, რა თქმა უნდა, **რევაზ ძოძუაშვილის** დამსახურებაა. „ტორპედოს“ მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარეს თბილისის „ლოკომოტივთან“ 3:0 მოგების შემდეგ გავესაუბრეთ...

— როგორ ფიქრობთ, ეს „ტორპედოს“ საუკეთესო თამაში იყო მიმდინარე სეზონში?

— აშკარად ჩანს, რომ გუნდი თამაშიდან თამაშამდე უმატებს და მომავალში უფრო მეტის იმედი გვაქვს.

— შეხვედრის დროს რამდენჯერმე შეცვალეთ ტაქტიკა...

— „ლოკომოტივის“ თამაში რამდენჯერმე ვნახე. ვიცოდი, რომ სიმაღლეში უპირატესობა ჩვენ გვქონდა და აქცენტი სტანდარტულ მდგომარეობებზე გავაკეთეთ. როგორც ნახეთ, ამან გაამართლა — გამეზარდაშვილმა და მუშკუდიანმა თითქმის ყველა მაღალი ბურთი მოიგეს. ორი სწრაფი გოლის შემდეგ კი ნახევარდაცვა გავაძლიერეთ, მეტოქეს საშუალება მივეცით, ბურთი ეკონტროლებინა და თამაში კონტრშეტევაზე ავაგეთ. ვფიქრობ, ანგარიში უფრო დიდიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბიჭებმა რამდენიმე კარგი შანსი ვერ გამოიყენეს...

— ამ ჩემპიონატში რა მიზნები გაქვთ?

— თუ სამეულში მოვხვდებით, კარგი იქნება. რამდენიმე შეხვედრაში უკეთეს შედეგს ვიმსახურებდით, მაგრამ მეტად საჭირო ქულები დავკარგეთ. ასე რომ არ მომხდარიყო, სამეულში მოხვედრის მეტი შანსი გვექნებოდა.

— ფინანსური მდგომარეობა თუ გამოსწორდა?

— სამი თვეა, ბიჭები ენთუზიაზმით თამაშობენ. პრეზიდენტის არყოფნაში ყველა საბუთი გაყინულია. სპონსორებს უფლება არა აქვთ, ეს საბუთები იურიდიულად გადაიფორმონ და ჩვენც ასეთ ცულ დღეში ვართ.

— დაახლოებით ერთი თვის წინ გრიგოლ ხურციძის გათავისუფლებაზე იყო ლაპარაკი...

— თითქოს უნდა გეთავისუფლებინათ, მაგრამ...

— თანხა, რომელსაც ხურციძეს ედავებოდნენ, გადახდილია?

— თანხა კი არის გადახდილი, მაგრამ მის გათავისუფლებას საშველი მაინც არ დაადგა. არადა, ხურციძე რომ დაგვიბრუნდეს, ყველაფერი გაირკვეოდა და დალაგდებოდა.

— კლუბში სხვა სპონსორის მისვლაზეც ითქვა...

— ამაზე დიდი ხანია, ლაპარაკობენ. ჭორი და მართალი ერთმანეთშია არეული, თუმცა იურიდიულად ამ ეტაპზე ეს შეუძლებელია...

მიხეილ ჟორჟოლიანი

კობიაშვილმა გერმანია დაბურძგლა

გელზენკირხენის „შალკეს“ ქართველმა ლეგიონერმა, ახალგამოჯანმრთელებულმა ლევან კობიაშვილმა მოედანზე დაბრუნება ულამაზესი გოლით აღნიშნა — მიუნხენის „ბაიერნის“ კარში გატანილი გოლი ალბათ დიდხანს ემახსოვრება გულშემატკივრებს.

„კობიაშვილის გოლმა აღტაცებული დამტოვა. როცა ბურთი კარში დავინახე, გამბურძგლა“ — ეს სიტყვები გელზერკირხენული კლუბის მენეჯერ ანდრეას მიოლერს ეკუთვნის.

კობის გოლით აღტაცებას ვერც გერმანული პრესა მალავს: „ბაიერნი“ პეტერ ლოვენკრანდსისა და ლევან კობიაშვილის გოლების შემდეგაც არ გატყდა... მიუნხენელებმა კარგად ითამაშეს... „შალკეს“ მხრიდან კი უდავოდ გამოსარჩევია კობიაშვილის ფანტასტიკური გოლი“ — წერს „კიკერი“.

„შტუტგარტში წაგებული 0:3-ის შემდეგ აუცილებლად გვჭირდებოდა მობილიზება. შესაძლოა, კარგი თამაში ვერ ვაჩვენეთ, მაგრამ შედეგით კმაყოფილი ვარ. თუმცა ლინკოლნის არყოფნა აშკარად დაგვეტყო. კიდევ კარგი, მომჯობინება მოასწრო ლევან კობიაშვილმა, მისი გოლი ყველამ ნახა და კომენტარი ალბათ ზედმეტია“ — განაცხადა ნამატჩევს „შალკეს“ მთავარმა მწვრთნელმა მირკო სლომკამ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

კვირკველიამ დათვალა და აღარ ჩათვალა

უკრაინის ჩემპიონატის მორიგ ტურში ზაპოროჟიეს „მეტალურგმა“ ირაკლი მოდებაძის გოლით 1:0 მოუგო ალჩევსკის „სტალს“.

ამ მატჩში ახალგამოჯანმრთელებულ დავით კვირკველიასაც უნდა ეთამაშა, მაგრამ ზაპოროჟიელთა შორის ის არ გამოჩენილა. გეხსომებათ, კვირკველია დაახლოებით ორი კვირის წინ დაშავდა — პენალტის დარტყმისას ფეხი დაუცურდა, ბარძაყის კუნთი დაეჭიმა და მას შემდეგ უქმადაა...

— დათო უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს გუნდთან ერთად. ჩვენ მართლა ვაპირებდით „სტალთან“ მის დაყენებას, მაგრამ მან თავად მთხოვა, ასი პროცენტით მზად არ ვარ და იქნებ, დამასვენოო. მოულოდნელი და ახალი არაფერი მომხდარა — ტრავმის შემდეგ ფეხბურთელებს ფსიქოლოგიური შიში აქვთ ხოლმე და. ეტყობა, კვირკველიაც ამ დღეშია. ამიტომ აღარ გავრისკე და დავასვენე. ვფიქრობ, მომდევნო ტურში იგი აუცილებლად ითამაშებს — განაცხადა „მეტალურგის“ თავკაცმა სერგეი იაშჩენკომ.

ბოლოს იმასაც გეტყვით, რომ კვირკველია ურუგვაისთან 15 ნოემბრის ამხანაგური მატჩისთვის საქართველოს ნაკრებშია გამოძახებული.

კახა შალამბერიძე

ქართველები უცხოეთში

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	ს	ატალანტა 0:2	0	ტრავმირებულია	6	1	16
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	შ	ბაიერნი 2:2	90	1 გოლი	8	2	4
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	შ	ბრაუნშვაიგი 1:0	90	საგოლე პასი	9	1	10
ოთარ ხიზანეიშვილი	ფრაიბურგი	შ	ბრაუნშვაიგი 1:0	10	შეცვლაზე ითამაშა	3	0	10
დავით სირაძე	აუე	შ	აუგსბურგი 1:1	90		8	1	13
მათე ღვინიანიძე	მიუნხენი	შ	ესენი 2:0	0	ტრავმირებულია	5	0	6
გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა								
მიხეილ საჯაია	დარმშტადტი	ს	ლაუტერნი (მ) 0:0	6	შეცვლაზე ითამაშა	9	0	17
შვეიცარია. სუპერლიგა								
მიხეილ ყაველაშვილი	ბაზელი	ს	თუნი 1:1	0	სათადარიგო	3	0	5
ინგლისი. პრემიერლიგა								
ზურაბ ხიზანიშვილი	ბლეკბერნი	ს	ბლეკბერნი 0:2	90	გააფრთხილეს	10	0	13
ჰოლანდია. ერედივიზიონი								
შოთა არველაძე	ალკმაარი	ს	ვალვაიკი 2:0	62	პენალტი გააცუდა, შეცვალეს	9	4	3
გოგა გახოკიძე	ტვენტე	ს	უტრეხტი 0:0	0		1	0	4
რუსეთი. პრემიერლიგა								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	შ	შინიკი 1:0	0	ტრავმირებულია	14	0	3
გიორგი ჭელიძე	ლოკომოტივი	შ	შინიკი 1:0	0	სარეზერვო გუნდშია	3	0	3
მიხეილ აშვეთია	რუბინი	შ	დინამო 0:1	0	განაცხადში არ იყო	13	0	7
გიორგი ქინქლაძე	რუბინი	შ	დინამო 0:1	0	განაცხადში არ იყო	4	0	7
ლაშა სალუქვაძე	რუბინი	შ	დინამო 0:1	77	შეცვალეს	14	0	7
ნუკრი რევიშვილი	რუბინი	შ	დინამო 0:1	0	სათადარიგო	2	0	7
ზურაბ არზიანი	რუბინი	შ	დინამო 0:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	7
ბექა ჟღენტი	ტორპედო	შ	მოსკვა 0:2	0	ტრავმირებულია	0	0	15
დავით მუჯირი	კრილია	შ	როსტოვი 1:0	0	ტრავმირებულია	18	4	10
გიორგი ლომაია	ლუჩ-ენერგია	შ	ამკარი 3:1	90		5	0	6
გოგიტა გოგუა	ნალჩიკი	შ	სატურნი 2:0	26	შეცვლაზე ითამაშა, საგ. პასი	23	3	8
ალექსანდრე ჩიხრაძე	ნალჩიკი	შ	სატურნი 2:0	0	დისკვალიფიცირებულია	26	0	8
ლევან გვაზავა	ნალჩიკი	შ	სატურნი 2:0	0	სათადარიგო	4	0	8
ალექსანდრე ამისულაშვილი	შინიკი	ს	ლოკომოტივი 0:1	90		16	1	16
ზურაბ მენთეშაშვილი	შინიკი	ს	ლოკომოტივი 0:1	90		13	0	16
უკრაინა. უმაღლესი ლიგა								
ოთარ მარცვალაძე	დინამო	შ	შახტარი 1:0	0	ტრავმირებულია	2	0	1
დავით იმედაშვილი	დინამო	შ	შახტარი 1:0	0	სარეზერვო გუნდშია	1	0	1
გიორგი დემეტრაძე	მ. დონეცკი	შ	ილიჩევეცი 2:1	45	შეცვალეს	12	2	4
ირაკლი მოდებაძე	მ. ზაპოროჟიე	შ	სტალი 1:0	89	1 გოლი, შეცვალეს	11	3	11
დავით კვირკველია	მ. ზაპოროჟიე	შ	სტალი 1:0	0		8	2	11
ლევან სილაგაძე	მ. ზაპოროჟიე	შ	სტალი 1:0	0		0	0	11
ილია კანდელაკი	ჩერნომორეცი	შ	ხარკოვი 4:2	10	შეცვლაზე ითამაშა	10	0	8
კახა მჟავანაძე	ჩერნომორეცი	შ	ხარკოვი 4:2	0		9	0	8
გიორგი შაშიაშვილი	ჩერნომორეცი	შ	ხარკოვი 4:2	90		6	0	8
ვასილ გიგიაძე	კრივბასი	შ	დნიპრო 1:1	90		13	7	9
ლადო ბურდული	კრივბასი	შ	დნიპრო 1:1	75	შეცვალეს	12	1	9
კახა ალადაშვილი	დნიპრო	ს	კრივბასი 1:1	0		4	0	5
რევაზ ბარაბაძე	დნიპრო	ს	კრივბასი 1:1	0		1	0	5
ჯაბა კანკავა	არსენალი		*ტური გამოტოვა*			11	3	7
ლაშა ჯაკობია	არსენალი		*ტური გამოტოვა*		ტრავმირებულია	5	2	7
გიორგი ციმაკურიძე	სტალი	ს	მ. ზაპოროჟიე 0:1	0		10	0	16
სერგო ორბელაძე	ილიჩევეცი	ს	მ. დონეცკი 1:2	0	სათადარიგო	1	0	13
საბერძნეთი. ნაციონალური ლიგა								
ლევან ცქიტიშვილი	პანიონიოსი	შ	ეგალეო 0:0	18	შეცვლაზე ითამაშა	6	0	11
ლევან მაღრაძე	ქსანთი	შ	იონიკოსი 2:0	0		6	0	14
დანია. სუპერლიგა								
გიორგი ფოფხაძე	ვიბორგი	შ	ჰორსენსი 1:0	0		1	0	9
პოლონეთი. პირველი ლიგა								
მამია ჯიქია	ლოძი	შ	პლოცკი 0:0	0		4	0	5
ბულგარეთი. უმაღლესი დივიზიონი								
ვლადიმერ კაკაშვილი	რილსკი	ს	მარეკი 2:3	0		4	0	13

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის აღგილი ლიგაში

პლატინი: ანრის შეეშალა, ბარსაში უნდა წასულიყო



ფრანგული და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა მიშელ პლატინი თვლის, რომ მისმა თანამემამულემ ტიერი ანრიმ შეცდომა დაუშვა, „ბარსელონაში" რომ არ გადავიდა. მოგეხსენებათ, გასულ ზაფხულს თითქმის გადაწყვეტილი იყო თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელის კატალონიურ გრანდში გადასვლა, მაგრამ ანრიმ ბოლო მომენტში „არსენალში" დარჩენა გადაწყვიტა და ლონდონელებთან კონტრაქტიც გაახანგრძლივა.

„დარწმუნებული ვარ, ტიერი შეცდა, „ბარსელონაში" გადასვლაზე უარი რომ თქვა. ეს პირადად მასაც ვუთხარი და კატალონიელთა პრეზიდენტ ხუან ლაპორტასაც. ანრი „ბარსაში" კიდევ უფრო გაიზრდებოდა. სადაცაა იგი, მე გადამასწრებს და საფრანგეთის ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი გახდება. მიუხედავად ამისა, ბევრი მასზე პოპულარულია და ანრი შედარებით ჩრდილშია. რატომ? იმიტომ, რომ მისი კლუბი ტიტულებს ხშირად ვერ იგებს" — თქვა პლატინიმ.

თავად 29 წლის ფორვარდს კი ახლა „ბარსელონა" და მისი არშემდგარი ტრანსფერი ნაკლებად აღელვებს. იგი „არსენალზეა" კონცენტრირებული და ცდილობს, თამაში გამოასწოროს. ანრის თქმით, იგი თითოეული მატჩის წინ საკუთარ თავს მოკრივესავით განაწყობს.

„ვთვლი, რომ აგრესიული ვარ, მაგრამ არა ამ სიტყვის ნეგატიური გაგებით. ზომერი აგრესია ფეხბურთელისთვის აუცილებელია. ეს დაახლოებით მოკრივეების განწყობას წაგავს. ყველა მატჩის წინ თავს ისე უნდა გრძნობდე, თითქოს რინგზე გადიხარ. ვცდილობ, თამაშში მთელი სული და გული ჩავდო, ისევე როგორც ცხოვრებაში" — თქვა ანრიმ.

„არსენალმა" თამაში ჯერ ვერაფრით დაალაგა და მიმდინარე სეზონში არადამაჯერებლად გამოიყურება, თუმც „ემეთოფეთა" ლიდერი თვლის, რომ ყველაფერი მალე გამოსწორდება. ასევე იგი ვერაფრით ვერ ივიწყებს იმ გოლს, რომელიც მოსკოვში, ცსკა-სთან მატჩში არ ჩაუთვალეს.

ტიერი ანრი: „ჩვენთვის ჩემპიონთა ლიგა ჯერ არ დასრულებულა. იმ გოლზე ლაპარაკიც აღარ მინდა, რომელიც ვერ გავიგე, რატომ არ ჩაგვითვალეს. არადა, მოსკოვიდან ქულა მაინც უნდა წამოგვეღო. გამარჯვებულად ვარ დაბადებული და ყოველთვის მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობ".

კოკი კანდელაკი

ანჩელოტიმ მსაჯებს ყვითელი ბარათი ამოუღო

იტალიური „მილანის" მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ თავისი გუნდის მორიგი მარცხი მსაჯებს დააბრალა. მოხსენებათ, გასულ უქმეებზე „როსონერიმ" სტუმრად „ატალანტასთან" 0:2 წააგო და სერია A-ში ისედაც რთული ვითარება კიდევ უფრო გაირთულა. სკუდეტოზე უკვე აღარავინ საუბრობს, ასე თუ გაგრძელდა, მილანელებს ეგებ ოთხეულში მოხვედრაც კი სათუო გაუხდეთო.

„ძალიან გაბრაზებული ვარ, ეს მესამე თუ მეოთხე შემთხვევაა ამ სეზონში, როცა აშკარა პენალტს არ გვინიშნავენ, თანაც რამდენიმე ეპიზოდში. ყველასთვის ნათელია, რომ დანიელე ბონერა წესების დარღვევით წააქციეს. მსაჯმა უცნაური გადაწყვეტილება მიიღო იოან გურკუფის წაქცევისასაც. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ეს განგებ ხდება, მაგრამ იმედია, ვცდები" — აღნიშნა ანჩელოტიმ.

„ატალანტა" — მილანის" მსაჯმა ტიციანო პიერომ მართლაც რამდენიმე საკამათო გადაწყვეტილება მიიღო. გურკუფის წაქცევისას კი სულაც პენალტი დანიშნა, მაგრამ მერე თანამსაჯს ეთათბირა, გადაწყვეტილება შეცვალა და ახალგაზრდა ფრანგს სიმულაციისთვის ყვითელი ბარათი უჩვენა. მიუხედავად ამისა, „მილანმა" პრობლემები თავის თამაშშიც უნდა ეძებოს. „როსონერი" ამ სეზონში ჯერჯერობით ძალიან არადამაჯერებლად გამოიყურება.

„რა თქმა უნდა, თამაში თავადაც უნდა გამოვასწოროთ, მაგრამ არის პრობლემები, რომლებსაც ვერ გადავჭრით. მაგალითად, ერთადერთი კლუბი ვართ, რომელსაც აპელაციის შემდეგ მინუს ქულები არ შეუმცირეს. მსაჯები ჩვენს საწინააღმდეგოდ ზედმეტად ხშირად ცდებიან და ეს ყველაფერი ცოტა უცნაური და უსიამოვნოა" — დასძინა „მილანის" თავკაცმა.

გიორგი კაკაბაძე

იუჰანსონმა მაურინიუს პირში შოკოლადი ჩაუდო

უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა „ჩელსის" მწვრთნელ ჟოზე მაურინიუზე თქვა, პატარა ბავშვივით იქცევაო. საქმე ამასწინდელი „ბარსა" — „ჩელსის" მატჩის დროს პორტუგალიელი სპეციალისტის ქცევას და თამაშის შემდგომ განცხადებებს ეხება.

„მაურინიუმ თამაშს პატივი უნდა სცეს, ის კი, პირიქით, გამომწვევად და უდიერად იქცევა, იმ ბავშვივით, რომელსაც შოკოლადს შეჰპირდნენ და მოატყუეს" — თქვა უეფას თავკაცმა ჟურნალისტებთან შეხვედრაში.

„იგი ბობოლა გრანდს წარმოადგენს, მაგრამ არ უფიქრდება, რომ პროვოკაციული ქცევითა და ლაპარაკით შეიძლება, ახალგაზრდა ფეხბურთელები მცდარი გზით წაიყვანოს" — ამბობს ლენარტ იუჰანსონი.

პრეზიდენტს არ სჯერა, რომ მაურინიუსა და ფრანკ რაიკარდის გუნდებს შორის „კამპ ნოუზე" ჩატარებული მატჩის მსგავს უხეშ შერკინებებს ბოლო მხოლოდ უმნიშვნელო დაჯარიმებით მოეღება. „ჩელსის" კი შეიძლება მაშინ მიღებული ექვსი ყვითელი ბარათის გამო ფინანსური სანციებიც აჰკიდონ.

„ჩელსის" დარი მდიდარი გუნდების ფულადი ჯარიმით შეშინებისა არ მჯერა. აქ საქმეს სხვანაირად უნდა მივუდგეთ. ეს დანაშაულივითაა. როცა ფაქტი პირველად ხდება, დამშანავეს მართლმსაჯულების არსებული წესებით ასამართლებენ, თუმც თუ წესრიგის დარღვევა კვლავ განმეორდა, სასჯელიც უნდა გამკაცრდეს. ვაღიარებთ, რომ ხანდახან უეფა დამნაშავეების მიმართ მეტისმეტად შემწყნარებელია" — დასძინა ბატონმა იუჰანსონმა.

ლადო ხომერიკი

საშინელი დიაგნოზი

დევიდ ბექემის შუათანა ვაჟს რომეოს ეპილეფსია აღმოაჩნდა. ეს ამბავი ინგლისელმა ჟურნალისტებმა „ჰითროუს" აეროპორტში ბავშვის დედისგან ვიქტორია ადამს-ბექემისგან შეიტყვეს — როდესაც პაპარაცები რომეოს შემოეხვივნენ და აპარატების ჩხაკუნი აუტეხეს, დედამ შეჰყვირა: „თავი დაანებეთ ბავშვს, მას ეპილეფსია სჭირს".

როგორც მოგვიანებით ვიქტორიას ერთ-ერთი დაქალისგან გახდა ცნობილი, საშინელი დიაგნოზი მშობლებმაც ახლახან გაიგეს და საშინლად განიცდიან.

„ვიქტორია მეტად მზრუნველი დედაა. ის მზადაა ოჯახისთვის ყველაფერი გაიღოს. როდესაც მან რომეოს ეპილეფსიის ამბავი გაიგო, ხელები აუკანკალდა და თვალზე ცრემლი მოადგა. მას მერე პოში ბავშვს წამით არ ტოვებს. მას ეშინია, რომ ბავშვს შეტევა მოუვა" — ამბობს დაქალი.

შეგახსენებთ, რომ რომეოს უფროს ძმას ბრუკლინი ჰქვია, უმცროსს კი კრუზი.

კაპუნა კედია

კაპიტანი მე ვიქნები
სანიოლი უკვე ტრაბახობს

მიუნხენის „ბაიერნის" ფრანგმა მცველმა ვილი სანიოლმა დააფასტურა, რომ ოლივერ კანის ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ გუნდის კაპიტანი იგი გახდება. შეგახსენებთ, რომ ვეტერანი მეკარე კარიერის დასრულებას 2007-2008 წლების სეზონის მერე გეგმავს. სანიოლს „ბაიერნთან" კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს და თავის მხრივ, კარიერის დასრულებას „ალიანს არენაზე" აპირებს.

„კანის წასვლის შემდეგ „ბაიერნის" კაპიტანი მართლაც მე ვიქნები. გახდე უცხოური, თანაც უდიდესი ტრადიციების კლუბის კაპიტანი, დიდი პატივია. არადა, როგორც წესი, კაპიტნის სამკლავურს ისეთ ფეხბურთელს არ აძლევენ, რომელსაც პრესასთან ლაპარაკი უყვარს. მაგრამ რა ვქნა, ხალხთან და მათ შორის ჟურნალისტებთან ურთიერთობა მიყვარს და სამკლავურით თუ მის გარეშე ასეთად დავრჩები. ზოგჯერ პრესასთან ზედმეტი საუბრით თანაგუნდელების წყრომასაც კი ვიმსახურებ ხოლმე" — თქვა 29 წლის მცველმა.

„ბაიერნის" თამაში ამ სეზონში არცთუ შთამბეჭდავია. გასულ კვირას მიუნხენელები „შალკესთან" 0:2-ს აგებდნენ, მაგრამ საბოლოოდ ქულა მოიპოვეს. ახლა ფელიქს მაგათის გუნდი მესამე ადგილზეა და ბუნდესლიგის ლიდერ ბრემენის „ვერდერს" სამი ქულით ჩამორჩება.

„დებიუტში ცუდად ვთამაშობდით, მაგრამ მერე მობილიზება შევძელით და მოგებაც კი შეგვეძლო. ყველაფერი ნორმალურადაა, განგაშის ატეხვა საჭირო არ არის. ჯერ მთელი სეზონი წინაა" — განაცხადა მაგათმა.

კოკი კანდელაკი

ხურდა-კაცები

შაბათ-კვირა და ორმოცდათორმეტი ჰენსი

ეს ესაა, რობინ ვან პერსის თავში ორპენსიანი გაარტყეს

პრემიერლიგის ბოლო ტურში „აპტონ პარკზე“ ხურდა ისროლეს, რაც „ვესტ ჰემს“ შეიძლება ქულების დაკლებად დაუჯდეს.

ეს ამბავი 39-ე წუთზე მოხდა, როდესაც ტრიბუნიდან ნასროლი ორპენსიანი „არსენალის“ ჰოლანდიელ თავდამსხმელს რობინ ვან პერსის თავში მოხვდა. ის, რომ ორპენსიანი ნამდვილად „ვესტ ჰემის“ ქომაგს ეკუთვნოდა და არა „არსენალისას“ მარტივად მტკიცდება — „აპტონ პარკის“ ტრიბუნა, რომელთანაც ვან პერსიმ ჩაირბინა, დოქტორ მარტენის სახელობისაა, სადაც მხოლოდ მასპინძელი გუნდის ქომაგები სხედან. არსენალელი იქ, ბუნებრივია, ვერ მოხვდებოდა.

შეგახსენებთ, რომ „ვესტ ჰემს“ საკუთარი ფანების მოთოკვის პრობლემები გასულ სეზონშიც ჰქონდა, ასე რომ, გუშინწინ „იმ ვიღაცამ“ საკუთარ გუნდს მხარი კი არ დაუჭირა, ხელი შეუშალა. ახლა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში შარშანდელს წლევანდელს მიაბამენ და მძიმე სურათი გამოუვათ. ამ ამბით შეშფოთებულმა „ვესტ ჰემის“ მწვრთნელმა ალან პერდიუმ ფულემელ კოლეგასთან, კრის კოულმენთან ერთად პრემიერლიგის ყველა კლუბსა და მათთან ერთად პოლიციას ხურდის მსროლელებთან დაუნდობელი ბრძოლის გამოცხადება სთხოვეს. „ფულემი“ რაღა შუაშია? მას იგივე ისტორია შაბათს, „ვესტ ჰემამდე“ ერთი დღით ადრე გადახდა. მავანმა ფანმა ტრიბუნიდან ევერტონელი კლაუს იენსენი დააზიანა.

საინტერესოა, რომ თითქოს გული უგრძნობდათო, „ვესტ ჰემის“ შეფებმა „არსენალთან“ მატჩის პროგრამაში საკუთარ ქომაგებს მოედანზე საგნების სროლისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდეს. კერძოდ, კლუბის დირექტორი სკოტ დაქსბერი წერდა, რომ ნებისმიერი ამგვარი ქმედება შეიძლება მათ საყვარელ კლუბს ქულების დაკლებად დაუჯდეს, მაგრამ როგორც ჩანს, ხურდა-კაცებისთვის თაკიანთი ხულიგნობა გუნდის ქულებზე მნიშვნელოვანია.

პერდიუ: „მშვენიერი საღამო ამ წვრილმანმა და საძაგელმა ინციდენტმა გააფუჭა. რცხვენოდეს ფანს, რომელმაც ასეთი რამ ჩაიდინა. ნეტავ მისი სახე ტელეჩანაწერში გამოჩნდეს და სამუდამოდ აუკრძალონ სტადიონზე მისვლა“.

გახელებულმა კოულმენმა კი განაცხადა, რომ ხურდის მსროლელი ქომაგი უნდა ამოიცნონ და დააპატიმრონ.

„ასეთი რამის პატიება არ შეიძლება. ის, ვინც ხურდის სროლა მოიფიქრა, მხდალია. ამოიცანით ის, დააპატიმრეთ ან სადმე, ფეხბურთიდან შორს გადაისროლეთ. მგონი, მისი ვინაობის დადგენა შეიძლება“.

აღსანიშნავია, რომ „ფულემის“ თამაშზე იენსენს 50-პენსიანი გაარტყეს თავში, ხოლო თანამსაჯ კერი რიჩარდსს ფეხში ჩოგბურთის ბურთი დაუმიზნეს.

დამიზნებაზე... დანიელ ფეხბურთელს იმედი აქვს, რომ ხურდა მას შემთხვევით მოხვდა.

პაპუნა კედია

ლიდერებს სპალეტის სუნთქვის ხმა ესმით

ზედიზედ რამდენიმე არადამაჯერებლად ჩატარებული თამაშისა და მოულოდნელად დაკარგული ქულების მერე, „რომამ“ საკუთარ „სტადიო ოლიმპიკოზე“ მშვენივრად იბურთავა და პრინციპულ მატჩში „ფიორენტინას“ 3:1 მოუგო. შედეგად, „გლადიატორები“ კვლავ მყარად არიან მესამე ადგილზე და ლიდერების — „ინტერისა“ და „პალერმოს“ დევნას აგრძელებენ.

„ბიჭების თამაშით ძალიან კმაყოფილი დავრჩი. დებიუტში გარკვეული პრობლემები გვქონდა, მაგრამ დანიელე დე როსის გოლმა თავდაჯერება შეგვმატა და საბოლოოდ დამსახურებულად ვიმარჯვეთ“ — განაცხადა დედაქალაქელთა მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ.

არადა, „ფიორენტინა“ ტომაშ უიფალუშის გოლით იგებდა, მაგრამ პირველი ტაიმის მიწურულს დე როსიმ 30 მეტრიდან გჯისროლა და ანგარიში გაათანაბრა. ამას მეორე ნახევარში როდრიგო ტადეის წყვილი გოლი მოჰყვა და „რომას“ გაბარჯვება აღარ გასჭირვებია. „იები“ კი ნული ქულით ბოლოსწინა ადგილზე დარჩნენ.

ფლორენციელთა თავკაცი ჩეზარე პრანდელი: „როცა თამაშს ასე კარგად იწყებ, კონცენტრაცია უნდა შეინარჩუნო. ჩვენ კი სულელური შეცდომები დავუშვით და გოლის გაშვების მერე თითქოს ხელი ჩავიქნიეთ. მიუხედავად ამისა, „რომამ“ დამსახურებულად მოიგო“.

კოკი კანდელაკი

ნაიუდარი არავის უნდა

ჰერესს კასანო რაფაელა კარამ უმღერა

ანტონიო კასანო სავარაუდოდ, მადრიდის „რეალში“ აღარ დარჩება. იტალიელს ფაბიო კაპელოსთან ჩხუბის შემდეგ „სამეფო კლუბში“ აუმხედრდნენ და ანტონიოსაც, ეტყობა, მალე ახალი გუნდის მოძებნა მოუწევს.

„თუ კასანო თავს „რეალის“ ფეხბურთელად აღარ თვლის და ჩვენთან თანამშრომლობა არ უნდა, თანახმა ვართ, ტრანსფერის შესახებ „რომას“ ან სხვა რომელიმე კლუბს დაველაპარაკოთ“ — განუცხადა, „კორიერე დელო სპორტს“ „რეალის“ სპორტულმა დირექტორმა პრედრაგ მიატოვიჩმა.

მადრიდელი დიდმოხელის სიტყვები კასანოს მიერ მავანი იტალიური ტელეარხისადმი მიცემულმა ინტერვიუმ გამოიწვია. აპენინელ ფორვარდს სინანულით უთქვამს, დროის უკან მობრუნება რომ შემეძლოს, „რომას“ „რეალის“ სანაცვლოდ არავითარ შემთხვევაში არ დავტოვებდიო.

„ჩვენ პრობლემის გადაწყვეტა გვსურს, მაგრამ ამაში თავად ფეხბურთელიც უნდა დაგვეხმაროს. თუ წასვლა უნდა, ხელს არავინ შეუშლის. თუ ფიქრობს, რომ „რეალში“ დარჩენას ბოდიშის მოუხდელად შეძლებს, ძალიან ცდება. კასანომ იცის, რომ ფეხბურთისთვის მიულებელი საქციელი ჩაიდინა. რაც გინდათ, თქვით, მაგრამ კასანოს საქციელს პროფესიონალიზმის ცნებას ნამდვილად ვერ მივუსადაგებთ“ — დასძინა მიატოვიჩმა.

ამასობაში ირკვევა, რომ რომაელი ტიფოზები ანტონიოს „სტადიო ოლიმპიკოზე“ დაბრუნების წინააღმდეგნი არიან. რომში კასანო მოღალატედ ითვლება.

„მისი დაბრუნება არავის უნდა, კასანო ნამდვილი მოღალატეა“ — ერთხმად აცხადებენ „რომას“ გულშემატკივრები.

„ლა გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, რომაული კლუბის მწვრთნელ ლუჩანო სპალეტის უკვე უთქვამს, დიდი ხანია, კასანო წარსულს მივაბარეთო. იტალიური მედია ამტკიცებს, რომ ანტონიოს ისევ ძველ გუნდში მისვლის პერსპექტივას „რომას“ კაპიტანი და კაპელოსთან მოქიშპე ფეხბურთელის დიდი მეგობარი ფრანჩესკო ტოტიც ეჭვის თვალით უყურებს.

ესპანური „ელ პაისი“ კი აცხადებს, რომ კასანო „რეალის“ ექსპრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა რაფაელა კარას თხოვნით იყიდა. კაპელოს და დღევანდელ „რეალს“ შეუძლიათ, თავიანთი გასაჭირი ცნობილ მომღერალს დააბრალონ...

ლადო ხომერიკი

სიცილიაზე არ იცინიან

ომერტა სკუდეტოს გამო

სიცილიურმა „პალერმომ“ ანდრეა ბარძალის ფასი დაადო — კლუბის ხელმძღვანელობას სერია A-ს ერთ-ერთი საუკეთესო მცველის 25 მილიონ ევროდ გაყიდვა სურს. მსურველები „მილანი“ და „იუვენტუსი“ არიან. უფრო ტურინელები აქტიურობენ, რომლებიც 25 წლის ფეხბურთელს ამ ზაფხულსაც უტრიალებდნენ. „პალერმოს“ გენერალურმა დირექტორმა რინო ფოსკიმ ცოტა ხნის წინ ისიც თქვა, ბარძალის „ბებერ ქალბატონში“ გადასვლა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილიაო.

რინო ფოსკი: „ბარძალი 25 მილიონი ევრო ღირს. „იუვე“ თუ „მილანი“? არ ვიცი, გამოჩნდება, მაგრამ ანდრეას ამ თანხაზე ნაკლებად არ გავყიდით. ეს ჯერ გადაწყვეტილი არ არის. თუ ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოვიპოვებთ, მის შენარჩუნებას ვეცდებით, რაც ძნელი იქნება, მაგრამ ანდრეას კლუბთან კონტრაქტი 2010 წლამდე აქვს“.

„პალერმოს“ ტრანსფერების გურუმ ფორვარდ ანდრეა კარაჩოლოზეც ისაუბრა და დაადასტურა, რომ შესაძლოა, იგი „რომაში“ აღმოჩნდეს. „ბრეშას“ ყოფილ ფეხბურთელს „ლივერპულიც“ უტრიალებს.

„ჩემი აზრით, კარაჩოლო ახლა იტალიის საუკეთესო ფორვარდთა ხუთეულში შედის, თუმცა ჩვენ ამაურიც გვყავს და ამიტომ შესაძლოა, კარაჩოლოს შეველითო, ოღონდ გავანათხოვროთ და არა გავყიდოთ. ერთ-ერთი მსურველი მართლაც „რომაა“ და გამორიცხული არ არის, ანდრეა მირკო ვუჩინიჩში გავცვალოთ“ — დასძინა ფოსკიმ.

სიცილიელები შთამბეჭდავ სვლას აგრძელებენ და „ინტერთან“ ერთად კვლავ სერია A-ს სათავეში არიან. გასულ უქმეებზე „პალერმომ“ შინ „სამპდორიას“ მოუგო. მიუხედავად ამისა, კლუბის ექსცენტრიულ პრეზიდენტ მაურიციო ძამპარინის სკუდეტოზე სიტყვის გაგონებაც არ უნდა.

„ჩვენთვის სიტყვა სკუდეტო კვლავ აკრძალული რჩება. თუ მე-13 ტურში „ინტერს“ 3:0-ს მოვუგებთ, მერე ამაზე ლაპარაკი შეიძლება. ჩვენი მიზანი კი უცვლელია — ოთხეულში მოხვედრა“ — განაცხადა ძამპარინიმ.

ანდრეა ბარძალი „პალერმომ“ 25 მილიონ ევროდ შეაფასა

„პალერმოს“ კაპიტანი ეუჯენიო კორინი: „ეს ძალიან რთული მატჩი იყო, მაგრამ ტაქტიკურად სწორედ ვითამაშეთ, „სამპდორიას“ საგოლე მომენტები, ფაქტობრივად, არ შევაქმნევინეთ და ვიმარჯვეთ კიდეც. მიხარია, რომ ერთ-ერთი გოლი მეც გავიტანე. ვიცით, რომ თუ ასე გაგრძელება გვინდა, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ და მცირე შეცდომებიც კი არ დავუშვათ“.

გიორგი კაკაბაძე

ლამპარდმა, ფულიო

რატომ მე ნაკლები? ფევჩენკოზე ნაკლების...

„სანდი მირორის“ ცნობით, „ბარსელონას“ საზაფხულოდ ფრენკ ლამპარდის ყიდვა უნდა და ამისთვის მზადაა, „ჩელსის“ ინგლისელი ვარსკლავის სანაცვლოდ 37,5 მილიონი ევრო შესთავაზოს.

თუმცა ამ სატრანსფერო ოპერაციის განხორციელება საეჭვოა, რადგანაც „ჩელსი“ თავის კაპიტანთან და ლიდერთან განშორებას არ აპირებს. ლამპარდს კლუბთან კონტრაქტი 2009 წლის ივნისამდე აკავშირებს, თუმც ფეხბურთელის წარმომადგენლები ფრენკის ლონდონურ მომავალზე აქედანვე ზრუნავენ. აგენტები კლუბის აღმასრულებელ დირექტორს პიტერ კინინს უკვე რამდეჯერმე შეხვდნენ და ლამპარდის კონტრაქტის სავარაუდოდ, სამი წლით გახანგრძლივებაზე მოეთათბირნენ.

ფრენკ ლამპარდი „ჩელსიში“ ხუთი წლის წინ „ვესტ ჰემიდან“ გადავიდა 16 მილიონ ევროდ. „ჩაქუჩების“ ექსფეხბურთელი მალე ახალი კლუბის ნამდვილ ლიდერად და გულშემატკივართა კერპად გადაიქცა. ფანები ლამპარდს აღმერთებენ, ხოლო „ჩელსის“ მწვრთნელ ჟოზე მაურინიუს მის გუნდიდან წასვლაზე სიტყვის გაგონებაც არ სურს.

ლონდონელთა მე-8 ნომერი „ბარსელონას“ სატრანსფერო სამიზნეზე იმყოფებოდა, ხოლო ამასწინანდელ სალიგო თამაშში „კამპ ნოუზე“ მისმა ფანტასტიკურმა გოლმა კატალონიელთა სურვილი ერთიორად გაზარდა. „ბარსას“ პრეზიდენტი ხუან �პორტა ლამპარდის თამაშის სტილით აღფრთოვანებულია და აცხადებს, რომ ტექნიკური ფრენკი ფრთებს მთელი სიძლიერით მხოლოდ ესპანეთის ჩემპიონატში თუ გაშლის“ — გვატყობინებს გუშინდელი „სანდი მირორი“.

თავად ფეხბურთელი კი კატალონიას კარგად იცნობს — მეუღლე იქაური ჰყავს და ბარსელონაშიც ბევრჯერ არის ნამყოფი, თუმცა ახლა ლამპარდი ალბათ სამხრეთში გადაბარგებას არ დათანხმდება, მით უმეტეს, თუ „ჩელსისთან“ ახალ კონტრაქტზე მოაწერა ხელი.

ფრენკს, ისევე როგორც გუნდის მეორე ავტორიტეტ ჯონ ტერის, კონტრაქტის ფინანსური მხარის გამოსწორება და ისეთივე გასამრჯელოს მიღება სურთ, რასაც „ჩელსის“ ახალწვეული ვარსკვლავები, ანდრეი შევჩენკო და მიხაელ ბალაკი იღებენ. ისინი „ჩელსიში“ გეხსომებათ, გასულ ზაფხულს მივიდნენ და კვირაში 190 ათას ევროს იღებენ, რაც წელიწადში 2,3 მილიონ ევროს შეადგენს.

ლადო ხომერიკი

ტრაგედია

ხერარდმა ძმის სიკვდილი თამაშისას შეიტყო

„ბარსელონას“ ყოფილმა ფეხბურთელმა სერხი ლოპესმა ცხოვრება თვითმკვლელობით დაასრულა. 39 წლის კატალონიელი რამდენიმე ხნის წინ არგენტინაში თავის ოჯახს დასცილდა, იქ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოშიც კი მიიყვანეს სამკურნალოდ... ამბობენ, რომ სერხის დეპრესია და შემდგომ თვითმკვლელობა სწორედ ოჯახთან განშორებას უკავშირდება. ექსმობურთალი მშობლიურ გრანოლერსში მატარებელს ჩაუვარდა...

უბედური შემთხვევის გამო სერხის ძმა, ხერარდი, ფსიქოლოგიურ შოკშია. „ბარსას“ ასევე ყოფილი ფეხბურთელი ხერარდ ლოპესი ახლა „მონაკოში“ თამაშობს და ძმის გარდაცვალების შესახებ „მონაკო“ — „ნიცას“ მატჩის დროს შეიტყო. ლოპესების ოჯახი საფეხბურთოა, სამივე ძმა (სერხი, ხერარდი და ხულიო) თამაშობდა, თუმცა „ბარსას“ პირველ გუნდში მოხვედრა მხოლოდ უფროსებმა მოახერხეს.

სერხი ლოპესს კატალონიურ გრანდში დებიუტი 1987-1988 წლებში ჰქონდა და იოჰან კრუიფის ხელმძღვანელობით სამ სეზონში 19 მატჩი ჩაატარა. შემდეგ სერხი „მალიორკაში“ და „სარაგოსაშიც“ თამაშობდა. საერთო ჯამში კი ესპანურ პრიმერადივიზიონში 71 ოფიციალური შეხვედრა აქვს ჩატარებული.

და ბოლოს: გასულ პარასკევს გუნდის კაპიტანმა კარლეს პუიოლმა მამა დაკარგა უბედური შემთხვევის გამო.

ლადო ხომერიკი

კაპელომ არ გაიტეხა

მას ასეთი რეალიც მოსწონს

კაპელო რონალდოთი კმაყოფილია

მიუხედავად „სელტასთან“ წაგებისა, „რეალის“ მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ საკუთარი გუნდი მაინც შეაქო და რონალდო-ვან ნისტელროის მოიერიშე წყვილის მიმართ კომპლიმენტები არ დაიშურა. დონ ფაბიო „რეალით“ კმაყოფილია, თუმც ცხადია, „სელტასთან“ მარცხი არ მოსწონს.

„იმიტომ წავაგეთ, რომ მეტოქეს ორი გოლი ვაჩუქეთ. ჩვენ კი ბევრი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. რა გაეწყობა, ასეთია ფეხბურთი. ვფიქრობ, ძალიან კარგი მატჩი ჩავატარეთ და ბიჭებიც ამიტომ შევაქე. სეზონში პირველად მომეწონა ჩემი გუნდი. სახიფათო ეპიზოდები გვქონდა, მაგრამ იმ ორმა ნაჩუქარმა დაგვღუპა“ — განაცხადა კაპელომ.

იტალიელმა მეორე ტაიმში რონალდოს შეცვლის შესახებაც ილაპარაკა. „რონალდო მეორე ტაიმში ძალიან გადაღლილი მეჩვენა, ველარ დარბოდა და ამიტომ შევცვალე, თუმც თავდასხმაში მისი და ვან ნისტელროის წყვილი ძალიან მომეწონა. დარწმუნებული ვარ, რომ მათ ერთად თამაშიც შეუძლიათ“ — უთხრა კაპელომ „მარკას“.

„რეალის“ ახალწვეული მაჰამადუ დიარა კი უკვე ზედიზედ მეორედ შეცვალეს შესვენებისას. კაპელო ამას დიარას ესპანური ფეხბურთისადმი ძნელი ადაპტაციით ხსნის: „როცა ერთი ჩემპიონატიდან მეორეში გადადიხარ სათამაშოდ, თავიდან ცხოვრება გიძნელდება. ეს ნორმალური მოვლენაა, რასაც დიარა რამდენიმე ხანში დაძლევს. თან დიარას ერთი ყვითელი ბარათი უკვე ჰქონდა და შემეშინდა მეორე ტაიმში მოედანზე ათი კაცით არ დავრჩენილიყავით“.

ლადო ხომერიკი

ვერაა ტორესი, ვერაა ატლეტიკო

ფერნანდო ტორესი ფორმაში არაა და „ატლეტიკოსაც“ ფერი გაუხუნდა. „ელ ნინიომ“ საამსეზონო პრიმერას 9 თამაშში მხოლოდ ორი გოლი შეაგდო, ასეთი რამ კი, რაც ფერნანდო პრიმერადივიზიონში ბურთაობს, ჯერ არ მომხდარა. „ატლეტიკოს“ კაპიტანი ბოლო წლებში გუნდის სული და გული გახლდათ, თუმც დღეს მეტოქის კარისკენ მიმავალ გზას ვერ პოულობს.

ტორესი ძველებურად სახიფათო ეპიზოდებს ველარ ქმნის და ხავიერ აგირეს მიერ შემოთავაზებული სამი ნახევარმცველის სისტემაც, ეტყობა, „ელ ნინიოს“ დაჩლუნგებულ საგოლე ალღოს ვერაფრით ეხმარება. შარშან პრიმერას სასტარტო ცხრა შეხვედრაში ფერნანდოს წლევანდელზე ერთი გოლით მეტი ჰქონდა გატანილი, ორი სეზონის წინ კი სამით. „ატლეტიკოს“ კი ტრადიციულად გატანილი გოლების სიმწირე აწუხებს და თუ მეტოქის კარის დალაშქვრა ველარც ტორესმა მოახერხა, მადრიდელებს საქმე ცუდად წაუვათ.

ხავიერ აგირეს შეგირდებმა ცხრა თამაშში სულ რაღაც ათი გოლი შეაგდეს, აქედან ოთხი „ბილბაოს“ კარში.

„ატლეტიკოს“ გასულ წელსაც მსგავსი შედეგი ჰქონდა, ხოლო შარშანწინ — ერთი გოლით ნაკლები. ასე კი, ცხადია, გუნდი ცხრილში პრესტიჟულ ადგილზე დამკვიდრებას ვერ მოახერხებს. ბოლოს 2004-2005 წლების სეზონში მოხდა, „ათლეტიკომ“ ზედიზედ ოთხ თამაშში გოლი რომ ვერ გაიტანეს. მაშინ „თეთრ-ალისფერებმა“ „ნუმანსიასთან“ და „ოსასუნასთან“ წააგეს, ხოლო „ესპანიოლთან“ უგოლო ფრე ითამაშეს. ამ მატჩების შუალედში „ოსასუნას“ კოპა დელ რეიზეც შეხვდნენ და იქაც დამარცხდნენ. გუნდს მაშინ სესარ ფერანდო წვრთნიდა, ხოლო თავდასხმაში ტორესის და დავიდ სილვას წყვილი თამაშობდა.

ბოლო ოთხი წელია, „ატლეტიკოს“ საგოლე მარაგი კლებულობს. გასულ პრიმერაში გუნდმა 45 გოლი შეაგდო, ორი წლის წინ კი — 51.

ტორესს ველარ გააქვს, მაქსი როდრიგესს მძიმე ტრავმა აქვს, ხოლო სერხიო აგერო კი სათადარიგოთა სკამს ვერ სცილდება. თავდასხმის პრობლემები „ატლეტიკომ“ შეიძლება კიდევ ერთი მეგოლის, მიგელ მისტას დაბრუნებით გადაწყვიტოს.

ლადო ხომერიკი

ჰოლანდიის ნაკრების მეკარე ედვინ ვან დერ სარი ინგლისთან მომავალ ამხანაგურ მატჩში არ ითამაშებს. მან „ნარინჯისფერთა“ მწვრთნელ მარკო ვან ბასტენს სთხოვა, არ გამომიძახო, რათა ახლა „მანჩესტერ იუნაიტედს“ უფრო ვჭირდებიო. ვან ბასტენმაც ნაკრების კაპიტნის თხოვნა გაითვალისწინა.

ინგლისური „ნიუკასლი“ ესპანური „ვალენსიას“ მცველ დავიდ ნავაროთი ყოფილა დაინტერესებული. „კაჭკაჭებს“ დაცვაში სერიოზული პრობლემები აქვთ და გუნდის მწვრთნელი გლენ რიოდერიც მის გაძლიერებაზე ფიქრობს. იმასაც ამბობენ, გამორიცხული არ არის, „სენტ ჯეიმს პარკზე“ ანტონიო კასანომ ამოჰყოს თავი.

ფრანგული „სედანი“ სადაცაა, გამოცდილ ნახევარმცველ ალიუ სისეს დაიმატებს. 30 წლის ფეხბურთელს „პორტსმუთთან“ კონტრაქტი ამ ზაფხულს დაუმთავრდა და ახლა თავისუფალი აგენტია. მას „ლიდსი“, „კარდიფი“ და „სტოკი“ უტრიალებდნენ, მაგრამ თავად სისეს საფრანგეთში სურს თამაში.

ნორვეგიული „ფრედრიკსტადის“ ახალგაზრდა ვარსკვლავმა ტარიკ ელიუნუსიმ იმედი გამოთქვა, რომ „ჩელსიში“ მისი ტრანსფერი მაინც შედგება. ლონდონელები 18 წლის ფეხბურთელს რამდენიმე თვეა, უტრიალებენ, მაგრამ „ფრედრიკსტადთან“ შეთანხმებას ჯერ ვერ მიაღწიეს.

ინგლისურმა „ტოტენჰემმა“ ჰოლანდიური „ვრონინგენის“ მცველ გიბრი სანკოს დაადგა თვალი. 23 წლის ნიჭიერი ფეხბურთელი სიერა ლეონეშია დაბადებული, მაგრამ ჰოლანდიურ პასპორტსაც ფლობს. ამჟამად იგი ერედივიზიონის ერთ-ერთი საუკეთესო მცველია.

ესპანური „დეპორტივოს“ ნახევარმცველი ალდო დუშერი კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უარსაა. შესაბამისად, არგენტინელი მომავალ ზაფხულს ლაკორუნიელებს დატოვებს. 27 წლის ფეხბურთელს ინგლისში სურს თამაში და მსურველებიც ჰყავს — „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ნიუკასლი“.

ფრანგული „რენის“ კაპიტანმა ოლივიე მონტერებიუმ „ლიონთან“ მატჩში ტრავმა მიიღო და სულ მცირე, ერთი კვირა ვერ ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ ის მატჩი მისმა გუნდმა 1:0 მოიგო და „ლიონს“ ამ სეზონში პირველი მარცხი აწვნია.

იტალიური და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა დინო ძოფი ჯერჯერობით უცნობმა პირებმა გაძარცვეს. ღამით, როცა იგი მეუღლესთან ერთად სახლში ბრუნდებოდა, ოთხი მძარცველი დაესხა თავს. ძოფმა მათ წინააღმდეგობა გაუწია და თვალიც დაიზიანა. თავდამსხმელებმა კი ცოლ-ქმრს საათები, მობილური ტელეფონები და საფულე წაართვეს, რომელშიაც დაახლოებით ათასი ევრო იდო.

სერ, მე მინდა გითხრათ, რომ...

გიჟის საღამოგრძელო წითელი ღვინით

ტერი ვენეიბლზი

„ბანა ბევრ ადამიანს უნდა ქვეყნად შეპყრობილის სახელით იაროს? აი, სერ ალექს ფერგიუსონის ნიჭიც სწორედ ის არის, რომ მას შეუძლია ის, რასაც სხვებს ნაკლად ჩაუთვლიდნენ, თავის სიძლიერედ აქციოს. ის ფეხბურთის გიჟია და შემკულია ყველაფრით, რაც ამ სფეროსთან არის დაკავშირებული — უეინ რუნის საუკეთესო ფორმაში ჩაყენებით დაწყებული, პატარა ბავშვებთან მუშაობით დამთავრებული.

დიდი ხნის წინ, როდესაც „კრისტალ პალასში" მწვრთნელის პროფესიას ვეზიარე, რონ გრინვუდმა დამირეკა, წარმატება მისურვა და გიჟი მიწოდა. მან ამიხსნა, რომ იმ დღიდან პასუხისმგებლობას ვიღებდი ყველაზე, კლუბის თავმჯდომარით დაწყებული, პატარა ბავშვებით და ბავშვები რაა, მათი დედიკოებით და მამიკოებით დამთავრებული. მან მითხრა, რომ ამიერიდან ღამღამობით ქვეყნის ერთ ბოლოში ახალი ფეხბურთელების შესარჩევად ჩასვლა, დილის შვიდ საათზე კი მეორე ბოლოში ვარჯიშზე ყველაზე ადრე მისვლა მომეთხოვებოდა. გრინვუდმა განმიმარტა, რომ თუმც კლუბთან ორწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი, ვალდებული ვიყავი, ბოლომდე ჩავძიებოდი გამოვიდოდა თუ არა, ამა თუ იმ 14 წლის ბიჭისგან კარგი თავდამსხმელი. დღეს კი ფეხბურთი კიდევ უფრო წინ წავიდა და მწვრთნელთა ფუნქციებიც გაფართოვდა.

ალექსი ერთ-ერთი ბოლოა იმ თაობის მწვრთნელთაგან, რომელმაც კარგად იცის, რას ნიშნავს კარგი მოთამაშის ძიებაში გზატკეცილების აღმა-დაღმა გადასერვა, შინ მხოლოდ რამდენიმე საათით მისვლა და სახლიდან იმაზე ადრე გასვლა, ვიდრე მერძევე ზღურბლთან ბოთლს დაგიდებს. და აი, ასეთი ცხოვრების სტილის მიუხედავად, მას ერთი წამით არ დაუკარგავს ენთუზიაზმი, იგი დარჩა შეპყრობილ ადამიანად და სწორედ ამ თვისებამ აქცია დიდ მწვრთნელად.

ალექს ფერგიუსონი ძველი ყაიდის მწვრთნელია, ასეთები კი ფეხბურთელებს შიშისაგან თმებს ყალყზე უყენებდნენ, ემუქრებოდნენ, რომ ვარჯიშსა და სირბილში სულს ამოხდიდნენ. ამასთან, ის მუშაობს და წარმატებებს აღწევს თანამედროვე ეპოქაში, როდესაც ფეხბურთელთა მოტივირების ხერხები გაცილებით დახვეწილია მუქარასთან შედარებით და გასახდელი ოთახი უამრავი ეროვნების ადამიანის თავშეყრის ადგილია.

მე ფეხბურთელები პირველივე გაცნობისას შემიყვარდნენ და აგერ უკვე 20 წელიწადია, ეს სიყვარული მამოძრავებს. დარწმუნებული ვარ, „მანჩესტერ იუნაიტედში" ალექსიც ზუსტად ასეა, თუმცა ისიც უნდა დავძინოთ, რომ ეს გრძნობა და დამოკიდებულება მას ნებისმიერი მძიმე გადაწყვეტილების მიღებაში ერთი წუთით ვერ დააბრკოლებს. გეხსომებათ, იყვნენ ფეხბურთელები, რომელთაც მის გუნდს უდიდესი სამსახური გაუწიეს, მაგრამ როდესაც კონფლიქტი წარმოიშვა, ფერგიუსონმა ისინი დაუნანებლად მოიშორა თავიდან. ალექსს ფეხბურთი უყვარს, მაგრამ ეს სიყვარული სენტიმენტალური არ არის. ის თავად გახლავთ ადამიანი, რომელიც გადარჩენისთვის იბრძვის.

კარგად მახსოვს ის წელიწადი, როდესაც „ბარსელონადან" „ტოტენჰემ ჰოთსპურში" დავბრუნდი. მაშინ „მანჩესტერ იუნაიტედთან" რამდენიმე პრინციპული შეხვედრა ვითამაშეთ. ჩვენ ისინი სამჯერ დავამარცხეთ, მათ შორის „ოლდ ტრეფორდზე" 3:0. იმხანად ალექსს ფანებთან რთული ურთიერთობა ჰქონდა და მახსოვს, თამაშის შემდეგ გვირაბში, გასახდელისკენ მიმავალს ერთი გულშემატკივარი მიუხტა. მე, ისევე როგორც მისი ასისტენტი არჩი კოქსი, მის ოდნავ უკან მივდიოდით და ეს ფანი ორივემ შევბოჭეთ. მოკლედ, მწვრთნელი დავიხსენით, მან კი თითქოს არაფერი მომხდარაო, ისე განაგრძო გზა. მე თუ მკითხავთ, ეს საქციელი ალექს ფერგიუსონს საუკეთესოდ ახასიათებს. ის მეტისმეტად კერპი კაცია. სხვა მწვრთნელი ასეთ მდგომარეობას გულთან ახლოს მიიტანდა, მან კი ყურიც არ შეიბერტყა, რადგან ამის ძალა შესწევს და სწორედ ამ ძალამ გააჩერა 20 წელიწადი ერთ გუნდში. დარწმუნებული ვარ, ასეთი ხანგრძლივი თანაცხოვრებით ორივე მხარე კმაყოფილია.

ასე და ამგვარად, მინდა ალექს ფერგიუსონის მიმართ დიდი პატივისცემა გამოვხატო და მის სადღეგრძელოსაც აუცილებლად აღვმართავ... წითელი ღვინით. წითელი ხომ „მანჩესტერ იუნაიტედის" საკლუბო ფერია".

გუშინ სერ ალექს ფერგიუსონს „მანჩესტერ იუნაიტედში" მუშაობის 20 წელიწადი შეუსრულდა. 20 წელიწადი ერთ გუნდში. როგორია? არადა, შოტლანდიელი ფერგიუსონი სულაც არ განეკუთვნება იმ მწვრთნელებს, რომელთაც მთელი ცხოვრება აქვთ ამა თუ იმ გუნდისთვის შეწირული. ასეთი, მაგალითად ფრანგი გირუ გახლდათ, მაგრამ ფერგი სხვაა. „მანჩესტერ იუნაიტედამდე" მას „აბერდინის" სათავეში თასების თასიც ჰქონდა მოპოვებული და შოტლანდიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზეც ეთამაშებინა, მაგრამ „მანჩესტერი"... ქვემოთ ალექს ფერგიუსონის შესახებ ტერი ვენეიბლზი და რაიან გიგზი ლაპარაკობენ. პირველი ფერგის კოლეგაა, ინგლისის ნაკრები და მრავალი კლუბი, მათ შორის „ბარსელონა" ჰყავს გაწვრთნილი, მეორე კი „მანჩესტერის" ვარსკვლავი. მათი აზრი საგანგებო და მნიშვნელოვანია, აქ, შესავალში კი დიდი იტალიელი სპეციალისტის მარჩელო ლიპის სიტყვებს გაგაცნობთ: „ფერგიუსონს მეგობრად და დიად პროფესიონალად მივიჩნევ. კაცმა რომ თქვას, მისი პროფესიონალიზმის დაფასება ძნელი სულაც არ გახლავთ. ადამიანი 20 წლის განმავლობაში ერთსა და იმავე გუნდს ევროპული ფეხბურთის მწვერვალზე რომ გააჩერებ, დიდი პროფესიონალი ხარ, აბა, სხვა რა შეიძლება ითქვას. მე მისი მუშაობის სტილზე ვერაფერს გეტყვით, რადგან არ მინახავს როგორ მუშაობს, მაგრამ მე მინახავს შედეგი და ეს შედეგი საოცარია. ჩემსა და ფერგიუსონის მეგობრობას „იუვენტუსისა" და „მანჩესტერის" პირველი შეხვედრიდან ჩაეყარა საფუძველი და ყოველთვის, როდესაც ერთმანეთს ვხვდებით, სასიამოვნოდ ვლაპარაკობთ ოჯახებზე, შვილიშვილებსა და რა თქმა უნდა, საქმეზეც"...

კაცი ყვითელი მერსედესიდან

რაიან გიგზი

დიახ, ალექს ფერგიუსონი ძველი ყაიდის მწვრთნელია, გასახდელში ის ფეხბურთელების რისხვაა და ეს ფაქტია, მაგრამ არ გაგიკვირდეთ, ყური თუ მოკრათ, როგორ ამტკიცებს უელსელი ვეტერანი რაიან გიგზი, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" წარმატებათა საიდუმლო... ბიჭებისადმი ფერგიუსონის „მამობრივ" დამოკიდებულებაშია.

დაგვეთანხმებით, ვინ ვინ და, წესითა და რიგით, გიგზმა ეს ამბავი ძალიან კარგად უნდა იცოდეს. თავად განსაჯეთ, ის 32 წლისაა და ამ 32 წლიდან 19 ფერგიუსონის შეგირდად აქვს გატარებული. რაიანი გახლდათ უხეშად მოლაპარაკე სქოთისეული „იუნაიტედის" ჩვიდმეტივე მთავარი წარმატების მონაწილე და მეტიც, ერთ-ერთი მთავარი გმირი. საინტერესოა, რომ ფერგიუსონი გიგზისთვის მხოლოდ მწვრთნელი როდი იყო. ამ ერთი შეხედვით უგულო ადამიანმა, ახალგაზრდა უელსელს პირადი პრობლემების გადალახვაშიც კი ფრიად შეუწყო ხელი და მართლა შეიძლება ითქვას, რომ მამობა გაუწია.

გიგზი ამბობს: „ის, რაც სერ ალექსმა ჩემთვის გააკეთა, გაცილებით მეტია, ვიდრე საფეხბურთო კარიერაში ხელის შეწყობა. მისგან ბევრი სიკეთე მოედანს გარეთ მახსოვს. პატარა რომ ვიყავი და მის კაბინეტში პირველი პროფესიული კონტრაქტის გასაფორმებლად შევედი, ფერგიუსონმა მითხრა: მწვრთნელები იმისთვის არიან, რომ ახალგაზრდებს საფეხბურთო საკითხებში შეუწყონ ხელი, მაგრამ თუ ოდესმე რაიმე პირადული საკითხის გამო მოგინდეს ჩემი დახმარება, იცოდე, ამ კაბინეტის კარი ყოველთვის ღიაა. ეს ჩემთვის უმძიმეს პერიოდში მოხდა. ჩემი მშობლები ერთმანეთს სცილდებოდნენ და მე ძალიან მჭირდებოდა ადამიანი, რომელსაც გულს გადავუშლიდი. და თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამ იმოქმედა ჩემზე ყველაზე მეტად, იმან, რომ მან ჩემი დედისა და მამის სახელები იცოდა. აი, ასეთი წვრილმანებით მას შეუძლია მოედანზე თავდადებით გათამაშოს. მასში ყველა მკაცრ შემფასებელს ხედავს, მე კი პატარაობიდან მის მეორე მხარესაც ვუყურებ".

შემდეგ გიგზი განაგრძობს:

„მას შემდეგ ფერგიუსონი დიდად არ შეცვლილა. შესაძლოა, უფრო დაბრძენდა, თორემ ფეხბურთით ისეთივე შეპყრობილი გახლავთ, როგორიც მაშინ იყო. მერწმუნეთ, იმისთვის რომ გაიმარჯვო, შეპყრობილი უნდა იყო კიდეც.

მახსოვს, ჩემ ყმაწვილკაცობაში ჭაბუკთა გუნდის არც ერთ თამაშს არ ტოვებდა. ბუნებრივია, არ ტოვებდა თამაშებს არც მერე, როდესაც A გუნდში გადავედი და ყოველთვის, როდესაც რაღაც არ გამოგვდიოდა, ის გვეუბნებოდა. ასე და ამგვარად, ფერგიუსონის წყალობით ჩვენ ყოველთვის ვიცოდით, რა ვერ გავაკეთეთ სწორად და რა გვაქვს გამოსასწორებელი".

საგულისხმოა, რომ ოდესღაც, 14 წლის გიგზმა ფერგისთან მუშაობის შესაძლებლობა კინაღამ ხელიდან გაუშვა. ეს მაშინ მოხდა, როდესაც მას „მანჩესტერ სიტი" ეპატრონებოდა, მაგრამ „იუნაიტედის" შეფმა ყველა ღონე იხმარა ბიჭი თანაქალაქელების კლანჭებიდან რომ გამოებღღვნა. ეს ამბავი ასე იყო:

„ჩემი სახლის კუთხიდან ვხედავდი დიდ ოქროსფერ მერსედესს. გავიფიქრე, ო, არა, კიდევ ეს მწვრთნელი მომადგა-მეთქი და მეგობართან წავედი, სადაც ოქროსფერი მერსედესი და მისი პატრონი სულ გადამავიწყდა... შემდეგ, 1991 წელს მან სწორედ „მანჩესტერ სიტისთან" მათამაშა პირველად სასტარტოში. ხალხი ამბობს, რომ ჩემი კარიერის საუკეთესო მომენტი 1999 წელს „არსენალის" კარში გატანილი გოლია, მაგრამ ვფიქრობ, ეს გადაჭარბებული შეფასებაა. მე სხვა რამ მახსოვს ისე, თითქოს გუშინ იყო: რაიან, შენ მარცხენა ფრთაზე ითამაშებ — მითხრა ფერგიუსონმა. აი, რა იყო ჩემი კარიერის ყველაზე მთავარი მომენტი. მერედა, ის ჩემ მოედანსგარე ცხოვრებასაც აკონტროლებდა. წარმოიდგინეთ, შაბათს მეგობრებში წახვედი და მეორე დღეს მწვრთნელი ზუსტად გიყვება სად იყავი და რა გადაგხდა. გაოცებისგან პირს ვაღებდი. საიდან იცოდა ეს ყველაფერი?"...

გიგზი არც იმას მალავს, რომ მასსა და ფერგიუსონს შორის ურთიერთობის რთული დღეებიც ყოფილა.

„ხშირად წავკიდებივართ ერთმანეთს. ყველაზე დიდი კონფლიქტი მაშინ მოგვივიდა, როდესაც პირველად შევხვდით „იუვენტუსს" და შესვენებისას მან მიყვირა. მას ჩემი თამაში არ მოეწონა, არგუმენტიც ჰქონდა და ამას მეუბნებოდა, მე კი მეწყინა. არადა, მგონი მართალი იყო, რადგან მართლა ცუდად ვითამაშე".

ბარას ბრავას
აქ ევროპა არ არის!

როცა „ბოკა ხუნიორსმა“ არგენტინულ სუპერკლასიკოში მოსისხლე „რივერ პლეიტთან“ 0:2 წააგო, მეორე დღეს „ლა ბომბონერაზე“ დიდი, წითელი ასოებით წარწერა გაჩნდა: „2:2. ჩვენ ანგარიში გავათანაბრეთ!“ ანგარიში ბოკელმა ფანებმა გაათანაბრეს, ოღონდ არგენტინულად — მატჩის მერე ტრიბუნაზე „რივერის“ ორი ინჩასი ჩაცხრილეს...

მათ ჰქვიათ „ბარას ბრავას“ და ისინი დაუნდობელნი არიან. აქ ადამიანის სიცოცხლე ევროპაზე გაცილებით იაფად ფასობს და არგენტინელი ფანიც მეტოქე გუნდის გულშემატკივარს ისევე გულგრილად კლავს, როგორი გულგრილობითაც სიკვდილს თავად ეგებება. ევროპაში ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი ფანთა დაჯგუფებები ომში ძირითადად ხელკეტებს, ჯაჭვებს და დანებს იყენებენ. აქ კი ცივი იარაღით სარგებლობა „ბავშვობად“, სისუსტედ ითვლება. არგენტინაში (და საერთოდ მთელ ლათინურ ამერიკაში) ოკეანისგამოღმელ ულტრასებზე თუ ხულიგნებზე საუბრისას მხოლოდ ირონიულად ეცინებათ და ევროპელებს „უხერხემლოებად“ თვლიან — აბა, გაბედოს მავანმა ესპანელმა ან იტალიელმა უტრასმა, ან თუნდაც ინგლისელმა ხულიგანმა და ტრიბუნაზე უბეში დამალული იარაღით ისეთი ბათქაბუთქი ატეხოს, როგორც ეს ჭეშმარიტ „ბარას ბრავასს“ შეუძლია! ევროპელ ფანს მატჩის მსვლელობისას ტრიბუნაზე პისტოლეტის დაქუხება აზრად არ მოუვა და მსგავსი რამ რომც გაბედოს, სტადიონზე დამონტაჟებული ვიდეოთვალის მსახვრალ მზერას, რობოტივით ზუსტ და სწრაფ პოლიციელს და ვირის აბანოში ყურყუტს ვერ გადაურჩება. აქ კი სხვა სიტუაციაა...

ლათინური ამერიკის პოლიცია ევროპელ კოლეგებზე გაცილებით სასტიკია, მაგრამ გამხეცებულ ინჩასებს მაინც ვერაფერს უხურხებს. არ მომხდარა (ალბათ არც არასდროს მოხდება), რომ არგენტინაში, რომელიმე მნიშვნელოვანი მატჩი მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ დასრულებულიყოს. მოედანზე დაწყებული ბრძოლა ჯერ ტრიბუნაზე, ხოლო შემდეგ სტადიონს მიღმა ინაცვლებს და ხშირ შემთხვევაში პოლიცია იმ ომში მხოლოდ უმწეო დამკვირვებელია. ეს ლათინური ამერიკა გახლავთ და სტადიონზე ერთად თავმოყრილ ბობოქარ ანარქისტებს სიტყვა „წესრიგი“ და ყოველივე მასთან დაკავშირებული სასტიკად სძულთ. სძულთ ჯგუფურად და დაუნდობლად.

არგენტინული ფესვები

„ბარას ბრავას“ არგენტინული საზოგადოების (ცხადია, ნორმალური საზოგადოების) ტკივილია და საშიშროებით პოტენციურად ფეთქებად ნაღმს წაგავს. პატაგონიაში სტადიონზე კაცი პირველად 1939 წელს მოკლეს და მას შემდეგ ტრიბუნაზე ვანდალური ფანატიზმის აქტები არ შეწყდარა. ოფიციალურად ქვეყანაში დღემდე 138 საფეხბურთო მკვლელობაა დაფიქსირებული, ხოლო დაჭრილ-დასახიჩრებულთა ზუსტად დათვლა არავის უცდია. პირველი მკვლელობიდან თანამედროვე პერიოდამდე მართლმსაჯულებამ მხოლოდ 33 დამნაშავე ინჩასის გასამართლება მოახერხა. ქვეყნის მასშტაბით ყველაზე სახიფათოებად „რივერ პლეიტის“ დაჯგუფებები ითვლებიან, მეორე ადგილზე „ბოკა ხუნიორსის“ ბრიგადებია, მერე „როსარიო სენტრალი“, „ნიუელს ოლდ ბოისი“ და ასე შემდეგ. როდესაც ესენი ერთმანეთს ხვდებიან, რაღა სტადიონი და რაღა ცეცხლმოკიდებული ბარიკადები...

ლათინურ ამერიკას ინჩასური ცეცხლი მაშინ წაეკიდა, როცა ევროპაში, რბილად რომ ვთქვათ, გულშემატკივრობის ფენომენი ცუდად ესმოდათ. 1916 წლის 16 ივლისს ბუენოს აირესში ერთმანეთს არგენტინისა და ურუგვაის ნაკრებები შეხვდნენ. ბილეთები მთავრობამ ნახევარ საათში გაყიდა და პატარა სტადიონსაც გათვალისწინებული 20 ათასის ნაცვლად ორჯერ მეტი ფანი მიაწყდა. არგენტინელებმა სტუმარ ურუგვაელ გულშემატკივრებს ვერაფერი გაუგეს, ტრიბუნებზე ჯოჯოხეთი ატყდა და მატჩიც ჩაშალა. ფეხბურთელებმა და მსაჯმა თავს გაქცევით უშველეს.

1931 წლის 20 სექტემბერს „ბოკა ხუნიორსსა“ და „რივერ პლეიტს“ შორის პროფესიულ დონეზე პირველი სუპერკლასიკო ჩატარდა. მეორე ტაიმში არბიტრმა უხეშობისთვის წითელი ბარათები „რივერის“ სამ ფეხბურთელს უჩვენა, მაგრამ... მათ მოედნის დატოვებაზე უარი განაცხადეს! თამაში „ბოკას“ სტადიონზე იყო და მტრების მობურთალთა უსაქციელობით გაბრაზებულმა „ხენეიზეს“ ინჩასობამ დამცავი ბარიერები გაანგრია და მოედანზე შეიჭრა. რა თქმა უნდა, არც ეს მატჩი დასრულებულა. მოედანი კი წითლად შეიღება...

ფეხბურთმა ადამიანის სიცოცხლე პირველად „ლანუსის“ მოედანზე შეიწირა. ეს 1939 წლის 14 მაისს მოხდა, როცა „ლანუსმა“ „ბოკა ხუნიორსს“ უმასპინძლა. თამაშის მსვლელობისას ერთ-ერთმა ლანუსელმა ფეხბურთელმა წესი დაარღვია, თუმცა შინაური ტრიბუნებით გამხნევებულმა, „ბოკას“ წაქცეულ მობურთალს ჩხუბი აქეთ დაუწყო. მსაჯმა მატჩზე კონტროლი დაკარგა, მოედანზე უმალ შეჭრილმა ლანუსელმა ინჩასებმა კი მეტოქის ფეხბურთელები უმოწყალოდ გვემეს. ამის შემხედვარე „ბოკა ხუნიორსის“ მცირერიცხოვანმა გულშემატკივრებმა მოედანზე შევარდნა თავადაც მოისურვეს, თუმც აქ პოლიციის კორდონი ამუშავდა. წესრიგის დამცველებმა თანაქალაქელთა სიმხეცეს ხელი არ შეუშალეს, „ხენეიზეს“ ხალხს კი სასტიკად დაუშინეს თავ-პირში ხელკეტები. სტუმრები მაინც არ ისვენებდნენ და ამ დროს იყო სერჟანტმა ლუის ესტრეიამ (ისტორიამ პირველი მკვლელის სახელი და გვარი კარგად შემოინახა) იარაღი რომ დაამრო და ტრიბუნების მიმართულებით ორჯერ გაისროლა... ბოკელთაგან ახალგაზრდა კაცი ლუის ლოპეზი და, რაც ყველაზე შემზარავია, 9 წლის ოსკარ მუნიტოლი დაიღუპნენ.

თუმცა „ბარას ბრავას“ ბრიგადების, ანუ ორგანიზებული არგენტინული ქომაგობის დაბადების თარიღად მაინც 1958 წელი ითვლება. ჟურნალისტ ამილკარ რომეროს პატაგონიაში „ბარას ბრავას“ მემატიანედ აღიარებენ და ჩვენც მის ნათქვამს ვენდოთ.

„ყველაფერი 1958 წლის ოქტომბერში, ალბერტო მარიო ლინკერის მკვლელობით დაიწყო და მთელ ლათინურ ამერიკას ხანძარივით მოედო. ადრე თამაშზე სტუმრად ჩასულ არგენტინელ ფეხბურთელებს იქაური ფანობა მხეცურად ექცეოდა. ამან კი ის გამოიწვია, რომ გულშემატკივრებმა ორგანიზებული საომარი ბრიგადები შექმნეს და თავიანთ კლუბებს გასვლით თამაშებზე დაჰყვებოდნენ. ეს ჯერ არგენტინაში მოხდა და შემდეგ მეზობელ ქვეყნებში ყველა გუნდმა თავისი „ბარას ბრავასი“ გაიჩინა“ — აცხადებს სენიორ რომერო.

და რადგან „ჯარი“ გაიჩინეს, კლუბთა მეპატრონეებს არც მის დაფინანსებაზე უნდა ეთქვათ უარი. ჯერ ინჩასები სტადიონზე შესასვლელი ბილეთებით მოამარაგეს, მერე გასვლით თამაშებზე მგზავრობის ხარჯების დაფარვა დაიწყეს და ასე შემდეგ. მეომართა დაჯგუფებებმა კი გუნდებისთვის ერთგულების დასამტკიცებლად წრეგადასულ აგრესიას მიმართეს. 1939 წლიდან 1958 წლამდე 12 საფეხბურთო მკვლელობა მოხდა, „ბარას ბრავას“ ბრიგადებმა კი თავიანთი სიგიჟით ხალხს ადრინდელი სისხლისღვრა მალე დააავიწყეს.

ლადო ხომერიკი

გაგრძელება იქნება

იაპონია
თასის ფინალი
კაშიმა 0:2 იჩიჰარა

სლოვენია
I ლიგა. XVII ტური
დრავა პტუი — პუბლიკუმი 2:2; ნაფტა — მარიბორი 1:1; პრიმორიე — კოპერი 0:0; ბელა კრაინა — ნოვა გორიცა 1:1; ფაქტორი — დომჟალე 2:2

სლოვაკეთი
I ლიგა. XIX ტური
ბანსკა ბისტრიცა — სლოვანი 0:0; ინტერი — არტმედია 1:0; ტრენჩინი — ნიტრა 0:0; დუბნიცა — რუჟომბეროკი 2:1; ტრნავა — სენეცი 0:1; ჟილინა — კოშიცე 3:0

უნგრეთი
ბორსოდი ლიგა. XII ტური
ფეჰერვარი — დიოშდიორი 2:0; პაში — პეჩი 0:1; ტატაბანია — დიორი 2:1; კაპოშვარი — ზალაეგერსეგი 3:1; მტკ — ჰონვედი 2:2; ვაცი — რეკი 0:1; ვაშაში — შოპრონი 0:0; დებრეცენი — უიპეშტი 0:2

ხორვატია
I დივიზიონი. XIII ტური
ციბალია — ჰაიდუკი 0:0; კამენი — რიეკა 0:1; მედიმურიე — ვარტექსი 5:1; ზაგრები — სლავენი 3:0; პულა — ოსიეკი 2:2; შიბენიკი — დინამო 2:1

ავსტრია
I დივიზიონი. XV ტური
ადმირა — კერნტენი 1:1; აუსტრია (ვ) — აუსტრია (ლ) 2:2; ლუსტენაუ — შვანენშტადტი 1:0; გრატკორნი — ჰარტბერგი 3:0; ლინცერი — ლეობენი 4:0. კაპფენბერგი — პარნდორფი გადაიდო

ნორვეგია
I დივიზიონი. XXX ტური
ბოდიო გლიმტი — მოსი 5:5; ბრინი — სპარტა 1:1; ფოლო — ჰიონეფოსი 0:2; ჰაუგესუნდი — ტრიომსდალენი 2:1; კონგსვინგერი — სოგნდალი 1:1; ოსლო იოსტი — ჰიოდი 3:1; პორს გრენლანდი — ალესუნდი 1:5; სტრიომსგოდსეტი — ლოვ ჰამი 2:2

ბულგარეთი
უმაღლესი ლიგა
XII ტური
ჩერნომორეცი — სლავია 0:4; ჩერნომორე — ლოკომოტივი (პ) 1:0; მარეკი — რილსკი 3:2; როდოპა — სპარტაკი 3:0; ლევსკი — ბეროე 3:0; ვიჰრენი — ცსკა 0:2; ბელასიცა — ლიტექსი 2:3; ლოკომოტივი (ს) — ბოტევი 3:1

არგენტინა
აპერტურა
XIV ტური
არგ. ხუნიორსი — ბანფილდი 1:1; რასინგი — როსარიო 1:1; ველესი — ესტუდიანტესი 0:1; ლანუსი — გოდოი კრუზი 3:3; ოლდ ბოისი — ინდეპენდიენტე 0:1; კილმესი — ბელგრანო 2:3; რივერ პლეიტი — სან ლორენსო 5:0; ხიმნასია (ხ) — კოლონი 2:0; ნუევა ჩიკაგო — ხიმნასია (ლ) 2:2; არსენალი — ბოკა ხუნიორსი 1:2

მექსიკა
აპერტურა
XVI ტური
ხაგუარესი — მონტერეი 1:1; სან ლუისი — უნამი 0:1; ატლანტე — ამერიკა 0:0; ვერაკრუსი — გვადალახარა 3:2; მორელია — ტეკოსი 2:1; ტიგრესი — კერეტარო 3:2; ატლასი — ნეკაქსა 2:1; ტოლუკა — კრუზ ასული 1:1; სანტოსი — პაჩუკა 1:1

უკრაინა
უმაღლესი ლიგა. XIII ტური
მეტალურგი (დ) — ილიჩევეცი 2:1; ხარკოვი — ტავრია 1:0; ჩერნომორეცი — ხარკოვი 4:2; კრივბასი — დნიპრო 1:1; მეტალისტი — ვორსკლა 2:1; მეტალურგი (ზ) — სტალი 1:0; დინამო — შახტარი 1:0. კარპატი — არსენალი გადაიდო

სერბეთი
სუპერლიგა. XII ტური
ბანატი — ბორაცი 0:1; მლადოსტი — სარტიდი 3:0; ოფკ — ზემუნი 3:0; ვოზდოვაცი — ცრვენა ზვეზდა 2:0; ვოივოდინა — ჰაიდუკი 1:0; პარტიზანი — ბეზანია 1:3

რუმინეთი
A დივიზიონი. XIV ტური
უნირია — არჯეში 0:0; პოლიტეხნიკა — გლორია 0:1; პანდურაი — არადი 2:0; ტიმოშოარა — ფარული 1:1; ნაციონალი — ვასლუი 0:1; კლუჟი — დინამო 2:1; პეტროსანი — უნივერსიტატია 1:2; ოცელული — რაპიდი 0:7; ჩაჰლაული — სტიაუა 0:0

ირლანდია
პრემიერლიგა. XXIX ტური
შელბურნი — დროჰედა 2:2; კორკი — უოტერფორდი 4:1; დერი — ბრეი 0:0; დუბლინი — სლიგო 1:0; ლონგფორდი — ბოჰემიანსი 3:0

ბრაზილია
სერია A
XXXIII ტური
ფიგეირენსე — ჟუვენტუდე 1:0; ფლამენგო — ატლ. პარანენსე 1:0; კრუზეირო — ვასკუ და გამა 2:1; ფორტალეზა — გოიასი 0:3; გრემიო — ინტერნასიონალი 0:1; პონტე პრეტა — სან კაეტანო 1:2; სანტოსი — სან პაულუ 0:1; ბოტაფოგო — ფლუმინენსე 2:1; კორინთიანსი — სანტა კრუზი 1:0; პარანა — პალმეირასი 4:2

დანია
I დივიზიონი
XIV ტური
ფრემადი — ფრედერისია 3:1; კოლდინგი — ჰელერუპი 2:1; იოლსტიკე — აკადემისკი 0:1; ტისტედი — ჰერფიოლგე 3:2; ორჰუსი — ფრემი 2:0; კიოგე — ფკ ორჰუსი 3:2; ლიუნგბიუ — სიონდერისგე 3:1; ნესტვედი — ბრაბრანდი 4:1

შვეიცარია
ჩელენჯლიგა
XIII ტური
იუვენტუსი — ბელინცონა 1:0; კიასო — ვინტერთური 1:1; ლოკარნო — ვოლენი 3:1; ქსამაქსი — კონკორდია 1:0; ვადუცი — შო დე ფონი 3:2; ვილი — ბოლმი 1:1; დელემონი — ლუგანო 1:0; სერვეტი — ივერდონი 4:1; ლოზანა — კრინსი 0:2

ჩილე
პრიმერადივიზიონი
XVI ტური
რეინჯერსი — კოკიმბო 1:2; კობრელოა — კობრესალი 3:1; უონდერერსი — ანტოფაგასტა 1:0; პალესტინო — უნიონ ესპანიოლა 1:0; უნივერსიდად კათოლიკა — კოლო კოლო 0:1; უნიონ კონსეპსიონი — აუდაქს იტალიანო 1:0; ო ჰიგინსი — უაჩიპატო 3:2; უნივერსიდად დე ჩილე — ეკერტონი 1:2; ლა სერენა — სან მორნინგი 1:0

აშშ
MLS. პლეი ოფი
1/2 ფინალი. I მატჩები
ვაშინგტონი 0:1 ნიუ ინგლენდი
ჰიუსტონი 3:1 კოლორადო

რეკლამა
სარბიელ-ში
38-11-14, 877 54 55 00

სარბიელი & კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. II ლიგა						
		7 ნოემბერი						
23:45	27	ბერი-როქსემი	1.90	3.20	3.80	1.19	1.26	1.73
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		7 ნოემბერი						
23:00	50	დორტმუნდი-ალემანია	1.65	3.30	5.50	1.10	1.26	2.06
23:00	51	მაინცი-ვოლფსბურგი	2.20	3.10	3.20	1.28	1.30	1.57
23:00	52	ნიურნბერგი-ვერდერი	4.50	3.60	1.70	2.00	1.23	1.15
23:00	53	ნიურნბერგი-ვერდერი 1:0	2.10	3.60	2.80			
23:00	54	შტუტგარტი-ჰამბურგი	1.85	3.20	4.20	1.17	1.28	1.81
		8 ნოემბერი						
23:00	55	არმინია-ჰერტა	2.40	3.10	2.80	1.35	1.29	1.47
23:00	57	ბაიერნი-ბანიო�erი	1.20	5.20	12.00	1.00	1.09	3.62
23:00	58	ბაიერნი-ბანიოcinerი 0:1	1.65	3.80	4.00			
23:00	59	ბოხუმი-ლეკერკუზენი	3.00	3.20	2.30	1.54	1.30	1.33
23:00	61	მიუნხენგლადბახი-შალკე	2.80	3.10	2.45	1.47	1.30	1.36
23:00	62	კოტბუსი -აინტრახტი	2.10	3.20	3.35	1.26	1.29	1.63
		გერმანია. II ბუნდესლიგა						
		7 ნოემბერი						
20:30	66	ბრაუნშვაიგი-უნტერჰახინგი	2.20	3.20	2.95	1.30	1.26	1.53
20:30	67	პადერბორნი-ჰანნა	2.60	3.20	2.45	1.43	1.26	1.38
20:30	68	ეხენი-კიბლენცი	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
20:30	69	ქარლსრუე-მიუნხენი 1860	1.80	3.30	3.80	1.16	1.22	1.76
		8 ნოემბერი						
20:30	70	ქარლ ცაისი-ფიურტი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
20:30	71	ოფენბახი-ლეიბზიგი	2.80	3.20	2.30	1.49	1.26	1.33
20:30	72	აუგსბურგი-ფრაიბურგი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
20:30	73	კაიზერსლაუტერნი-ბურგჰაუზენი	1.40	4.00	7.00	1.03	1.16	2.54
20:30	74	კიელი-აუგ	1.45	3.60	6.50	1.03	1.18	2.31
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		7 ნოემბერი						
22:30	119	მატერსბურგი-ზალცბურგი	4.30	3.50	1.70	1.92	1.21	1.14
		8 ნოემბერი						
22:30	120	ალტახი-რიდი	2.20	3.10	3.00	1.28	1.26	1.52
22:30	121	აუსტრია-შტურმი	1.65	3.40	4.80	1.11	1.22	1.99
22:30	122	გრაცერი-რაიდი	2.35	3.20	2.70	1.35	1.25	1.46
22:30	123	ჰაზენგი-ტირიოლი	1.65	3.50	4.70	1.12	1.22	2.00
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		8 ნოემბერი						
22:45	136	შაფჰაუზენი-ოუნი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
22:45	137	ლუცერნი-გრასჰოპერი	3.50	3.30	1.95	1.69	1.25	1.22
		9 ნოემბერი						
22:45	138	ბაზელი-იანგ ბოიზი	1.60	3.60	5.00	1.10	1.21	2.09
		იტალია. სერია A						
		11 ნოემბერი						
21:00	139	ფიორენტინა-ატალანტა	1.65	3.30	5.30	1.10	1.25	2.03
23:30	141	მილანი-რომა	1.90	3.10	3.50	1.17	1.23	1.64
		12 ნოემბერი						
18:00	142	ლაციო-უდინეზე	2.40	2.90	3.00	1.31	1.33	1.47
18:00	144	ასკოლი-ემპოლი	2.50	2.80	3.00	1.32	1.36	1.44
18:00	145	ეიტანია-ლიეორნი	2.40	2.80	3.10	1.29	1.35	1.47
18:00	146	მეხინა-კალიარი	2.05	2.90	3.80	1.20	1.33	1.64
18:00	147	პალერმო-ტორინო	1.45	3.70	7.50	1.04	1.21	2.47
18:00	148	სამპდორია-კიეტი	1.80	2.90	5.10	1.11	1.33	1.84
18:00	149	სიენა-ბეზენა	2.00	2.90	3.80	1.18	1.31	1.64
23:30	150	პარმა-ინტერი	6.00	3.60	1.50	2.25	1.20	1.05

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		საფრანგეთი. II დივიზიონი						
		7 ნოემბერი						
23:00	218	ისტრი-გუიიონი	2.00	2.80	3.80	1.16	1.31	1.61
23:00	219	ბასტია-ლე ავრი	2.25	2.80	3.30	1.24	1.33	1.51
23:00	220	ბრესტი-აიაჩიო	2.15	2.80	3.50	1.21	1.33	1.55
23:00	221	კეენი-კრეტეი	1.50	3.40	6.30	1.04	1.21	2.20
23:00	222	დიეპი-გენგამპი	1.60	3.30	5.30	1.07	1.22	2.03
23:00	223	ლიბურნი-ავენიონი	2.40	2.70	3.00	1.27	1.33	1.42
23:00	224	ტენვალიე-ტეტრი	1.65	3.30	4.80	1.10	1.22	1.95
23:00	225	ნიორი-მატორე	2.80	2.70	2.55	1.37	1.33	1.31
23:30	226	რეიმსი-სტრასბური	2.65	2.70	2.75	1.33	1.34	1.36
		ირლანდია						
		7 ნოემბერი						
23:45	350	სლიგო-შელბურნი	4.20	3.50	1.70	1.90	1.24	1.14
23:45	351	დრიგედა-დერი	2.65	3.00	2.45	1.40	1.27	1.34
		არგენტინა						
		8 ნოემბერი						
23:45	556	ბანფიელდი-რასინგი	2.80	3.20	2.20	1.49	1.23	1.30
		ინგლისი. თახი						
		7 ნოემბერი						
23:45	548	წესტერფიელდი-ხარლტონი	4.20	3.30	1.80	1.84	1.25	1.16
23:45	549	ნორჩი-ეფსიმბი	2.25	3.30	2.90	1.33	1.26	1.54
23:45	550	საუთენდი-მანჩესტერი	8.00	3.80	1.40	2.57	1.19	1.02
23:45	551	უოტფორდი-ნიუკასლი	2.25	3.20	3.00	1.32	1.28	1.54
		8 ნოემბერი						
23:45	552	ბირმინგემი-ლიეფერპული	4.50	3.40	1.70	1.93	1.23	1.13
23:45	553	წელსი-ასტონ ვილა	1.40	4.00	7.50	1.03	1.17	2.60
23:45	554	ეფერტონი-არსენალი	2.30	3.30	2.70	1.35	1.24	1.48
23:45	555	ტოტენჰემი-პორტ ვალი	1.22	5.40	11.00	1.00	1.09	3.62
		შოტლანდია. თახი						
		7 ნოემბერი						
23:45	416	სელტიკი-ფალკირკი	1.20	5.50	10.00	1.00	1.07	3.54
23:45	418	კილმარნოკი-მაზერველი	1.75	3.40	4.00	1.15	1.21	1.83
		8 ნოემბერი						
23:45	417	ჰიბერნიანი-პართი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
23:45	419	რეინჯერსი-სტ.ჯონსტონი	1.15	5.50	12.00	1.00	1.04	3.77
		ესპანეთი. თახი						
		7 ნოემბერი						
23:45	440	ლევანტე-ატლეტიკო	2.60	3.20	2.45	1.43	1.26	1.38
		8 ნოემბერი						
23:00	437	სოსიედადი-მალაგა	1.70	3.40	4.30	1.13	1.21	1.89
23:30	438	ტარაგონა-ვალიადოლიდი	1.80	3.20	4.10	1.15	1.25	1.79
23:45	439	სარაგოსა-სეგ�ერა	1.27	4.50	9.00	1.00	1.11	3.00
23:00	442	ვილიარეალი-კასტელონი	1.28	4.50	8.50	1.00	1.11	2.94
22:00	443	ხეტაფე-სევილა	1.50	3.60	5.80	1.05	1.19	2.22
23:45	444	ბარსელონა-ბადალონა	1.10	7.00	15.00	1.00	1.02	4.77
23:45	445	რასინგი-ფერეროლი	2.45	3.10	2.55	1.36	1.24	1.39
23:45	446	ესპანიოლი-რაიო	1.40	3.80	7.00	1.02	1.16	2.46
23:45	448	ბეტისი-ფელეგა	1.80	3.30	3.80	1.16	1.22	1.76
23:45	449	ოსასუნა-ჰეხა	1.15	6.00	13.00	1.00	1.05	4.10
23:45	450	ვალენსია-პირეუნინე	1.12	6.50	15.00	1.00	1.04	4.53
23:45	451	სეგელია-სეგოვია	1.12	6.50	15.00	1.00	1.04	4.53
23:45	452	მალიორკა-ბილბაო	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
		9 ნოემბერი						
23:45	441	რეალი-ესპანა	1.05	8.00	18.00	1.00	1.00	5.53
23:45	447	სელტა-ალავესი	1.45	3.70	6.50	1.04	1.18	2.35

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10050	დორტმუნდი-ალემანია	2.10	2.10	5.50	1.04	1.51	1.51
10051	მაინცი-ვოლფსბურგი	2.70	2.00	3.75	1.14	1.56	1.30
10052	ნიურნბერგი-ვერდერი	4.50	2.20	2.20	1.47	1.47	1.10
10054	შტუტგარტი-ჰამბურგი	2.30	2.10	4.60	1.09	1.53	1.44
10055	არმინია-ჰერტა	2.90	2.00	3.20	1.18	1.52	1.23
10057	ბაიერნი-ბანიოcinerი	1.45	3.00	10.00	1.00	1.26	2.30
10059	ბოხუმი-ლეკერკუზენი	3.45	2.00	2.85	1.26	1.56	1.17
10061	მიუნხენგლადბახი-შალკე	3.30	2.00	2.95	1.24	1.55	1.19
10062	კოტბუსი -აინტრახტი	2.50	2.10	3.90	1.14	1.52	1.36

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11050	დორტმუნდი-ალემანია	2.35	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11051	მაინცი-ვოლფსბურგი	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.60	20.00	10.00	4.80
11052	ნიურნბერგი-ვერდერი	6.50	10.00	20.00	7.50	4.40	3.60	20.00	10.00	2.50
11054	შტუტგარტი-ჰამბურგი	2.70	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11055	არმინია-ჰერტა	3.50	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11057	ბაიერნი-ბანიოcinerი	1.50	15.00	35.00	3.50	5.00	14.00	20.00	12.00	12.00
11059	ბოხუმი-ლეკერკუზენი	4.30	10.00	20.00	5.00	4.40	4.60	20.00	10.00	3.30
11061	მიუნხენგლადბახი-შალკე	3.80	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11062	კოტბუსი -აინტრახტი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		მეტ-	ნაკ.
12050	დორტმუნდი-ალემანია	2.00	1.60
12051	მაინცი-ვოლფსბურგი	1.70	1.90
12052	ნიურნბერგი-ვერდერი	2.20	1.55
12054	შტუტგარტი-ჰამბურგი	2.00	1.70
12055	არმინია-ჰერტა	1.90	1.70
12057	ბაიერნი-ბანიოcinerი	2.20	1.55
12059	ბოხუმი-ლეკერკუზენი	2.00	1.60
12061	მიუნხენგლადბახი-შალკე	1.70	1.90
12062	კოტბუსი -აინტრახტი	1.70	1.90

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13050	დორტმუნდი-ალემანია	1.60	2.00
13051	მაინცი-ვოლფსბურგი	1.55	2.10
13052	ნიურნბერგი-ვერდერი	1.60	2.00
13054	შტუტგარტი-ჰამბურგი	1.60	2.00
13055	არმინია-ჰერტა	1.55	2.20
13057	ბაიერნი-ბანიოcinerი	1.90	1.70
13059	ბოხუმი-ლეკერკუზენი	1.60	2.00
13061	მიუნხენგლადბახი-შალკე	1.60	2.00
13062	კოტბუსი -აინტრახტი	1.60	2.00

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შანსი ნაგებად ჩაითვლება)

14050	დორტმუნდი-ალემანია	1.40	2.40
14051	მაინცი-ვოლფსბურგი	1.80	2.00
14052	ნიურნბერგი-ვერდერი	2.40	1.40
14054	შტუტგარტი-ჰამბურგი	1.60	2.30
14055	არმინია-ჰერტა	1.80	1.90
14057	ბაიერნი-ბანიოcinerი	1.04	2.90
14059	ბოხუმი-ლეკერკუზენი	2.00	1.80
14061	მიუნხენგლადბახი-შალკე	1.90	1.80
14062	კოტბუსი -აინტრახტი	1.70	2.10

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15050	დორტმუნდი-ალემანია	3.00	2.80	2.00
15051	მაინცი-ვოლფსბურგი	3.00	2.80	2.00
15052	ნიურნბერგი-ვერდერი	3.00	2.80	2.00
15054	შტუტგარტი-ჰამბურგი	3.00	2.80	2.00
15055	არმინია-ჰერტა	3.00	2.80	2.00
15057	ბაიერნი-ბანიოcinerი	3.00	2.80	2.00
15059	ბოხუმი-ლეკერკუზენი	3.00	2.80	2.00
15061	მიუნხენგლადბახი-შალკე	3.00	2.80	2.00
15062	კოტბუსი -აინტრახტი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16050	დორტმუნდი-ალემანია	1.26	3.20
16051	მაინცი-ვოლფსბურგი	1.60	2.10
16052	ნიურნბერგი-ვერდერი	3.00	1.35
16054	შტუტგარტი-ჰამბურგი	1.32	3.00
16055	არმინია-ჰერტა	1.70	2.00
16059	ბოხუმი-ლეკერკუზენი	2.10	1.65
16061	მიუნხენგლადბახი-შალკე	2.00	1.70
16062	კოტბუსი -აინტრახტი	1.52	2.40

გოლი:ფსვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ფსვილად)

17050	დორტმუნდი-ალემანია	1.85	1.95
17051	მაინცი-ვოლფსბურგი	1.85	1.95
17052	ნიურნბერგი-ვერდერი	1.85	1.95
17054	შტუტგარტი-ჰამბურგი	1.85	1.95
17055	არმინია-ჰერტა	1.85	1.95
17057	ბაიერნი-ბანიოcinerი	1.85	1.95
17059	ბოხუმი-ლეკერკუზენი	1.85	1.95
17061	მიუნხენგლადბახი-შალკე	1.85	1.95
17062	კოტბუსი -აინტრახტი	1.85	1.95

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

ქართული ლეგიონი

ერთი ამერიკაში ქართველები წყვილად იგებენ

მანუჩარ მარკოიშვილმა (№11) „ოლიმპია“ მოსაგებად დაჭოჭა

გასულ უქმეებზე ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ახალი სეზონი ქართველთათვის კარგი და ცუდი ამბით დაიწყო. ცუდიდ დავიწყოთ: ნბა-ს გამოაკლდა ნიკოლოზ ცქიტიშვილი, ვინც 4 წლის წინ დიდი ამბით მივიდა მსოფლიოს უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში და მასზე ამერიკელები, მეტადრე დენვერელები დიდ იმედებსაც ამყარებდნენ. სამწუხაროდ, „ცქიტოს“ ნიჭმა ნბა-ს ლაბირინთებში გზა ვერ იპოვა და ქართველი ფორვარდის ამერიკული ოდისეაც, სავარაუდოდ, დასრულდა. ყოველ შემთხვევაში, ნიკა უგუნდოდაა, ნბა-მ კი ახალი სეზონი და ახალი ცხოვრება დაიწყო.

კარგი ამბავი ნბა-ს შერჩენილი ერთადერთი ქართველის, ზაზა ფაჩულიას მძლავრი დასაწყისია. „ატლანტა ჰოქსის“ ჩვენებურმა ცენტრმა პირველივე მატჩში ორმაგი დუბლი გამოაცხო და „ფილადელფიასთან“ წაგებულ შეხვედრაში 15 ქულასა და 12 მოხსნას მოუყარა თავი.

ფაჩულიამ კიდევ უფრო იქულუხვა მომდევნო მატჩში, რომელშიც ნიკა ცქიტიშვილის დამწუნებელ „ნიუ იორკს“ ეთამაშა. ზაზამ 29 წუთში 11 საშუალო სროლიდან 8 ჩააგდო, ზედ 6 საჯარიმოც მიაყოლა და 22 ქულა მოაგროვა. „ატლანტამ“ კი პირველი გამარჯვება მეორე მატჩშივე იზეიმა. არადა, შარშანდელი სეზონი „ქორებმა“ ბარე 12-მატჩიანი უიღბლო სერიით დაიწყეს.

არც ევროპული ლეგიონისგანაა ცუდი ამბები. სასიამოვნოა მანუჩარ მარკოიშვილის „ოლიმპიას“ ხუთეულში დაბრუნება — გასული კვირის ორივე მატჩში „მანო“ ლიუბლიანური გუნდის ძირითად შემადგენლობაში იყო.

ოლიმპიელებმა ორივე მატჩი მოიგეს — ევროლიგაში დეიან ბოდიროგას „რომა“ წააქციეს, ადრიატიკის ლიგაში კი ბოსნიურ „ბოსნას“ მოუთავეს საქმე. მარკოიშვილს სწორედ ბოდიროგას წინააღმდეგ მოუწია თამაშმა და ქართველმა უკანახაზელმა თავი არ შეირცხვინა — 23 წუთში 7 ქულა გამოჭედა.

შედარებით მოკრძალებული იყო მანუჩარი „ბოსნას“ წინააღმდეგ, თუმც მხოლოდ ქულები ხომ არაა საქმე — მწვრთნელმა ჩვენიანი მოედანზე 37 წუთი დატოვა, რაც ყველა სტატისტიკურ მაჩვენებელზე უკეთ გამოხატავს „ოლიმპიასთვის“ მის სარგებლიანობას.

„რომა“ დაამარცხა ვლადიმერ ბოისას „სიენამაც“, მაგრამ სერია A-ში და ჩვენებურს ამ საქმეში სრულიად უმნიშვნელო წვლილი მიუძღვის — ვოვამ 15 წუთი გაატარა მოედანზე და ვერც ქულა მოიხვეჭა, ვერც პასი და ვერც მოხსნა.

სამაგიეროდ, ბოისა ერთ-ერთი საუკეთესო იყო, როცა ულებ-ის თასზე „სიენამ“ „ალბა“ დაამარცხა. ვოვა დაცვის ბურჯი იყო იმ მონაკვეთში, როცა იტალიელებმა გერმანელების წინააღმდეგობა საბოლოდ დაძლიეს. ბოისამ 8 ქულა გააკეთა, 5-ჯერ ჩაუჭრა ბურთი მეტოქეს და თითო მოხსნა-პასიც მიითვალა.

გასულ კვირაში ორივე მატჩი მოიგო გიორგი ცინცაძის „როკმაც“, რომელსაც ესტონეთის ჩემპიონატში „ვალგას“ ძლევა ეგებ არაფრად უღირდეს, მაგრამ ბალტიის ლიგაში მძლავრი „ასკ რიგის“ წაქცევა მართლაც საამაყო შედეგია.

რიგელები ბალტიის ლიგაში დაუმარცხებლები იყვნენ და წაგების სიმწარე პირველად ესტონეთში იგემეს. ცინცაძემ ჩვეულად ბარაქიანად ითამაშა, თუმც რომ სჩვევია, ისეთი ქულუხვიანობით არ გამორჩეულა — 37 წუთში 9 ქულა და მისი სიმაღლის კვალობაზე საკმაოდ ბევრი, 5 მოხსნა მოაგროვა.

დაბოლოს, ვახტანგ ნაცვლიშვილის „დიჟონზეც“ ვთქვათ, რომელსაც საფრანგეთის ჩემპიონატში ჩინებული დებიუტის შემდეგ წარუმატებლობა დასჩემდა. დიჟონელებმა ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგეს, მაგრამ ამჯერად ფიცხელ ბრძოლაში. „რეიმსმა“ შინ ბოლო წამებზე იძალა და ნაცვლიშვილის გუნდი 71:69 დაამარცხა. ქართველის ანგარიშზე 14 წუთში 2-2 ქულა-მოხსნა იყო.

ირაკლი პერტაია

სახელი გვარი	გუნდი	ტურნირი	მეტოქე	სად	ანგარიში	წთ	ქ	მ	პ
გიორგი ცინცაძე	როკი	ბალტიის ლიგა	ასკ რიგა	შ	72:70	38	9	5	1
		ესტონეთის ჩემპიონატი	ვალგა	შ	93:73	26	9	3	5
მანუჩარ მარკოიშვილი	ოლიმპია	ადრიატიკის ლიგა	ბოსნა	ს	78:69	37	4	3	2
			რომა	შ	83:72	23	7	0	0
ვლადიმერ ბოისა	სიენა	სერია A	რომა	შ	84:68	15	0	0	0
		ულების თასი	ალბა	შ	79:63	19	8	1	1
ვახტანგ ნაცვლიშვილი	დიჟონი	საფრანგეთის ჩემპიონატი	რეიმსი	ს	69:71	14	2	2	1
ტატო ვაშაკიძე	ნევეჟისი	ლიტვის უმაღლესი ლიგა	ლიეტუვოსრეტასი	შ	62:85	3	0	0	0
ვიქტორ სანიკიძე	ესტუდიანტესი	ესპანეთის პრიმერადივიზიონი	ბრუედა	ს	69:60	არ თამაშია			
ლევან შენგელია	აკადემია	ლიტვის I ლიგა	პრიენუ	შ	78:61	9	2	1	0
ზაზა ფაჩულია	ატლანტა	NBA. რეგ.ჩემპიონატი	ფილადელფია	ს	75:87	42	15	12	1
			ნიუ იორკი	შ	102:92	29	22	7	4

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

NBA რეგულარული ჩემპიონატი



AFP ფოტო-ბიბლიოთეკა

ზაზა ფაჩულიამ დარკო მილიჩიჩი არ აბოგინა

ქორებმა დადებითი დადეს

ატლანტამ ტალანტი გამოაჩინა

6 ნოემბერი

ატლანტა 95:82 ორლანდო

ატლანტა: კლაქსტონი (6 ქულა, 6 ჩაჭრა), ჯონსონი (31), შ. უილიამსი (2), ჯ. სმიტი (11 ქულა, 11 მოხსნა), **ფაჩულია** (25 წუთი, 17 ქულა, 4 მოხსნა, 1 ჩაჭრა); ჩილდრესი (8), რაიტი (8), ლუ (6), ს. ჯონსი (6), ბოზმანი, ფრეიე

ორლანდო: ნელსონი (4), თურქოღლუ (3), ჰილი (14), ბათი (7), ჰოვარდი (11); არაოიო (22), მილიჩიჩი (9), დულინგი (5), დინერი (3), აუთლოო (2), ბოგანსი (2), გარიტი

ფილადელფია 107:98 მაიამი

ფილადელფია: აივერსონი (31 ქულა, 13 პასი), კორვერი (22), იგუდალა (20)

მაიამი: უოლკერი (23), ვეიდი (20 ქულა, 11 პასი), ჰასლემი (17 ქულა, 16 მოხსნა)

სიეტლი 117:101 ლეიკერსი

სიეტლი: ალენი (32), ლუისი (25), რიდნორი (22)

ლეიკერსი: ბრაიანტი (15), ფარმერი (14), ბინამი (13)

ნიუ ორლეანი 96:90 ჰიუსტონი

ნიუ ორლეანი: ვესტი (22), სტოიაკოვიჩი (16), პოლი (12 ქულა, 16 პასი)

ჰიუსტონი: ბეტიე (18), მინი (17 ქულა, 10 მოხსნა), მაკგრეიდი (14)

ტორონტო 94:103 სან ანტონიო

ტორონტო: ბოში (19 ქულა, 17 მოხსნა), ფორდი (15), პიტერსონი (15)

სან ანტონიო: დენკანი (26), პარკერი (19), ბერი (16)

2 მოგება და 1 წაგება! „ატლანტა ჰოქსს“ დადებითი ბალანსი აქვს. სტატისტიკოსებმა ვერ გაიხსენეს, ჯორჯიელებს ბოლო როდის ჰქონდათ დადებითი ბალანსი, დავთრებს ჩახედეს და აღმოჩნდა, რომ 2002 წლის შემოდგომის შემდეგ მათი მოგებები წაგებებს არ სჭარბობდა. მართალია, სეზონი მხოლოდ ერთი კვირის დაწყებულია და 3 თამაშით შორს მიმავალი დასკვნების გამოტანა, რბილად რომ ვთქვათ, ახლომხედველობაა, მაგრამ 1999 წლიდან პლეიოფის უნახავ ატლანტელებს, ბედნიერებისთვის თუ არა, სიხარულისთვის ეს ცოტაც ჰყოფნით.

ორლანდოში წაგებით დაწყებული სეზონი „ატლანტამ“ შინ ჯერ „ნიუ იორკის“, შემდეგ კი იმავ „ორლანდოს“ ძლევით გააგრძელა. ამ სამ თამაშში „ჰოქსის“ ჩვენებურ ცენტრ ზაზა ფაჩულიას წილი არცთუ მოკრძალებულია — 18,0 ქულა და 7,3 მოხსნა. ფაჩულია გუნდის ლიდერ ჯო ჯონსონთან ერთად პირდაპირ სტაბილურობის განსახიერებაა და ფარის ლამის ერთადერთი ბურჯია, „ატლანტა“ ხომ არც ისე მაღალ გუნდად ითვლება.

„ორლანდოსთან“ ფაჩულიამ არცთუ დიდი ხანი დაჰყო მოედანზე, მხოლოდ 25 წუთი, თუმც 17 ქულის გაკეთება და ფლორიდელთა საუკეთესო მეფარე დუაიტ ჰოვარდის პერსონალერებით დაზურგვა მაინც შეძლო. ამ ზაფხულს ამერიკის ნაკრებში ნაწვევმა და მსოფლიოს ჩემპიონატზე ნათამაშებმა ჰოვარდმა მხოლოდ 11 ქულის გაკეთება შეძლო, რაც ჩვენებურის პირდაპირი დამსახურებაა.

ფაჩულიას დარად დაცვაში საიმედოდ იმუშავეს მისმა თანაგუნდელებმაც — გრანტ ჰილის, ჯამეერ ნელსონის, ჰედო თურქოღლუს, მოკლედ, ყველა წამყვანი მოთამაშის განეიტრალება შეძლეს, მხოლოდ სათადარიგოთა სკამიდან წამოჭრილ პუერტორიკოელ კარლოს არაოიოს მისცეს ქულების გროვების ნება.

„ატლანტამ“ თავიდანვე განაცხადა მოგებაზე პრეტენზია — პირველი მეოთხედი 22:11 მოიგო, ტაიმი კი — 46:35. მესამე 12-წუთიანში „ორლანდომ“ 51:51 კი გაათანაბრა, რაც არაოიოს დამსახურებაა, მაგრამ შემდეგ მასპინძლებმა კვლავ ალაგმეს სტუმართა მოკრეშები, ბოლო მეოთხედში 85:73 გაიჭრნენ და რამდენიმე წუთში საქმეც მოათავეს.

კოტე ყორღია

ქართულმა რაგბიმ ბანკი მოხსნა

ჯერ მსოფლიო და მერე ვნახოთ

საქართველოს ნაკრებს თავის მეორე მსოფლიოს თასამდე ერთი ღონიერი ნაბიჯიღა დარჩა და ჩვენი რაგბის კავშირს სპონსორობის მსურველებიც მოუმრავლდა. კავშირი არც აქამდე უჩიოდა მძლავრი სპონსორების არყოლას და ამასთან მეგობარი კომპანიებიც მალი-მალ უმართავდნენ ხელს. ახლა კი ქართული რაგბისთვის ხელის გამართვა ერთობ სოლიდურმა და გამართულმა ბიზნესჯგუფმა „ბითიეი სილქროუდ ბანკმა" გადაწყვიტა. რაგბის კავშირისა და „ბითიეი სილქროუდ ბანკის" თანამშრომლობის პრეზენტაცია ხვალ გაიმართება, მანამდე კი ამ ბანკის კონსულტანტს მარკეტინგის საკითხებში *ანდრო მეტრეველს* ვესაუბრეთ...

— ჩვენი ბანკი მუშაობს მარკეტინგის ახალ სტრატეგიაზე, რომლის უმნიშვნელოვანესი ნაწილი სწორედ სპონსორობაა. როდესაც გადავწყვიტეთ სპონსორობა სპორტში გაგვეწია, რაგბის თემა თავიდანვე პირველი განიხილებოდა. ჩვენში სათამაშო სახეობებში რაგბი ყველაზე წარმატებულია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მარკეტინგის თვალსაზრისით, თანაც გუნდური თამაშია, რაც ბიზნესშიც მნიშვნელოვანი ფაქტორია და არჩევანიც ამ პრინციპით გავაკეთეთ. კიდევ ერთი და მნიშვნელოვანი ფაქტორი ისაა, რომ რაგბის კავშირისადმი კეთილგანწყობილები ვართ და ჩვენი მხარდაჭერა უნდა გამოგვეხატა.

— რატომ მაინცდამაინც რაგბი?

— რაგბი, როგორც სპორტის მარკეტინგის თემა ძალიან მნიშვნელოვანია. დარწმუნებული ვართ, ცოტა ხანში საქართველოში რაგბი გახდება ნომერ პირველი სპორტული ბრენდი. თანაც საქართველოს ნაკრებს ერთი ნაბიჯიღა უკლია მსოფლიოს თასამდე, მსოფლიოს თასი კი განსაკუთრებული მოვლენაა. ამ გრანდიოზული ტურნირის სპონსორები არიან უმსხვილესი და უპოპულარულესი კომპანიები „პეპო", „ვიზა"... ჩვენი კომპანიისთვის მარკეტინგისა და კომერციული თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი იქნება ასეთი მსხვილი ფირმების გვერდით დგომა.

— მაგრამ ჯერჯერობით ბიზნესის მხრივ რაგბი არც ისეთი მომგებიანია, როგორც ფეხბურთი ან კალათბურთი...

— სხვათა შორის, სანამ გადაწყვეტილებას მივიღებდით სოციალური კვლევა ჩავატარეთ. აღმოჩნდა რომ საქართველოში, სათამაშო სახეობებში პირველ ადგილზე რა თქმა უნდა ფეხბურთია, რაგბი და კალათბურთი კი ერთ დონეზე არიან. დარწმუნებული ვართ, სწორი მუშაობის და პოპულარიზაციის შემდეგ რაგბი ფეხბურთს გაუტოლდება. ძალიან დიდი მნიშვნელობა მივანიჭეთ იმას, რომ რაგბი არის განსაკუთრებული თვისებების მატარებელი სახეობა. პირველ რიგში, ერთმანეთშია შერწყმული ვაჟკაცობა, ურთიერთპატივისცემა, რაინდობა და ადამიანურობა. ერთი სიტყვით, რაგბი ქართული სულთან ყველაზე ახლოს არის, ამიტომაც ვფიქრობთ, რომ არჩევანში არ შევმცდარვართ. რაც შეეხება კომერციულ მხარეს, „პეპო" და „ვიზას" დარი კომპანიები წამგებიან საქმეს ხელს არ მოკიდებდნენ. ჩვენც გვაქვს გათვლები. მარტო ის რად ღირს, რომ საგაისო მსოფლიოს თასის უკვე ერთი მილიონი ბილეთია გაყიდული. ესე იგი, აქედანვე უდიდესი ინტერესია. ჩვენი კომპანიისთვის საერთაშორისო არენაზე გასვლისთვის ეს მშვენიერი შესაძლებლობაა.

— კონკრეტულად რა თანამშრომლობაზეა საუბარი და რა თანხის ჩადებას აპირებთ ქართულ რაგბიში?

— ბოლომდე დაკონკრეტებულები ჯერ არ ვართ. კონსულტაციები და ურთიერთვალდებულების ჩამოყალიბების პროცესი სულ მალე დასრულდება. მაგრამ აქედანვე გეტყვით, რომ ძალიან ბევრ პროექტზე ვმუშაობთ. რაც მთავარია, ჩვენი თანამშრომლობა მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი იქნება და მოიცავს თითქმის ყველა პრობლემის მოგვარებას. ჩვენ და რაგბის კავშირი ამ დიდ გზას ერთად დავადექით და საქმეს ბოლომდე საფუძვლიანად მივიყვანთ. ამიტომ ვერ გეტყვით, კონკრეტულად რა თანხა ჩაიდება, მაგრამ ქართული რაგბის ჩვენგან არაფერი მოაკლდება.

— რა ვადით აპირებთ რაგბის კავშირთან თანამშრომლობას?

— დასაწყისისთვის რაგბის კავშირს 2007 წლამდე ვუსპონსორებთ. მანამდე კი ყველა პორტუგალიასთან მატჩის მოლოდინში ვართ და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ რომ ნაკრებს ხელი შევუწყოთ საამმატჩო მზადებაში და ასევე ჩავებათ წინა სამატჩო პიარ-კომპანიაში. მთელი ქალაქი უნდა ავიყოლიოთ, ჩვენ ბიჭებს ქომაგობა არ მოვაკლოთ. დარწმუნებულები ვართ, საქართველოს ნაკრები მსოფლიოს თასზე გავა და ჩვენ ვუზრუნველყოფთ, რომ ქართველმა ქომაგმა მსოფლიოს თასი ბოლომდე შეიგრძნოს. „ბითიეი სილქროუდ ბანკი" დაეხმარება რაგბის კავშირს ტელევიზიებთან ურთიერთობაში და გადაწყვეტილი გვაქვს მსოფლიოს თასის მატჩების ჩვენების უფლების ყიდვა. ჯერჯერობით ჩვენი თანამშრომლობა გაისამდე გაფორმდება. მერე კი იმედს ვიტოვებთ, რომ რაგბის კავშირთან ჩვენი თანამშრომლობა დიდი ვადით გაგრძელდება.

ბაჩო სვანიძე

ერევნულ-ევროვნული გლდანში შეიკვნება

საქართველოს მოკრივეთა ნაკრები სეზონს ერევნის საერთაშორისო ტურნირით დახურავს. დავით ცერცვაძე შეგირდებს რამდენიმე დღეში შეიკრებს და წინასასომხეთო ათდღიან შეკრებას გააჩაღებს. სწორედ ამ შეკრებაზე გამოცხადდება ტურნირზე წამსვლელთა სია. ნატურნირევს კი მოკრივეები სამომავალსეზონო სამზადისს შეუდგებიან. 2007 წლიდან პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიების გათამაშება იწყება. უკან მოტოვებულ ტურნირებზე და ერევნულ და ოლიმპიურ პერსპექტივაზე ნაკრების თავკაცი გუშინ გვესაუბრა

— სომხეთის საერთაშორისო ტურნირი ტრადიციულია. მასზე ძლიერი მოკრივეები იყრიან ხოლმე თავს. საკმაოდ მძიმე სეზონის ასეთი შეჯიბრით დაგვირგვინება ბიჭებს კარგად უნდა წაადგეთ, თუმცა ჯერ უცნობია, რამდენკაციანი შემადგენლობით მოვახერხებთ გამგზავრებას.

— როდის გაირკვევა სასომხეთო შემადგენლობა?

— ალბათ შემდეგ კვირაში. ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ხუთი მოკრივისთვის საჭირო ხარჯებს საკუთარ თავზე თავად ორგანიზატორები იღებენ. ჩვენ რამდენს დავამატებთ, ეს ფინანსებზეა დამოკიდებული. საშუალება რომ იყოს, სულაც ორი შემადგენლობით წავიდოდით, მაგრამ... მოგეხსენებათ, კრივის ფედერაციაში წლეულს ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა, ბიუჯეტი კი ძველი დარჩა და გაურკვევლობის მთავარი მიზეზიც ესაა. ცხადია, 2007 წელს ახალი ბიუჯეტი შედგება და წინასწარ გვეცოდინება, წლის განმავლობაში რომელ ტურნირზე რამდენი კაცით წავალთ.

— ნაკრები როდის შეიკრიბება?

— ალბათ 10 ნოემბერს. გლდანში, დუნდუას დარბაზში ვივარჯიშებთ. სომხური ტურნირი კი 20 ნოემბერს იწყება.

— შეგირდების საამსეზონო გამოსვლით კმაყოფილი ხართ?

— 4 თვეა, ნაკრებში ვმუშაობ და მთელი წლის შეფასება ძალიან გამიჭირდება. ამ ოთხ თვეში კი ბიჭებით მართლაც კმაყოფილი დავრჩი. ლამის სამწლიანი უშედეგობის შემდეგ კვლავ შევძელით ევროპის ჩემპიონატზე მედლის აღება. მალხაზ ჟვანიამ ბრინჯაო მოიპოვა, ოთხმა ქართველმა კი მეოთხედფინალში გაადწია. ესეც კარგი შედეგია. ახალგაზრდული და პერსპექტიული გუნდი გვყავს, რაც მომავალში კიდევ უფრო უკეთ გამოჩნდება.

— მომავალ წელს ოლიმპიური ლიცენზიების გათამაშება იწყება. რეალურად, რამდენ მოკრივეს შეუძლია პეკინში მოხვედრა?

— ამ ეტაპზე სამ ლიცენზიას ვგეგმავთ, თუმცა წინასწარ ლაპარაკი ძალიან ძნელია. გაზაფხულზე სალიცენზიო ტურნირებს იტალია და გერმანია უმასპინძლებს. ჩინეთის საგზურს ჩემპიონ-პრიზიორები მოიპოვებენ. სექტემბერში მოსკოვში ჩასატარებელ მსოფლიოს ჩემპიონატზე კი ლიცენზიისთვის მერვედფინალში გასვლაც საკმარისი იქნება.

— მომავალ სეზონსაც ტრადიციულად საქართველოს ჩემპიონატი გახსნის?

— რა თქმა უნდა. საქართველოს პირველობა 16-20 იანვარს გურჯაანში ჩატარდება და სწორედ ამისი შედეგებით დაკომპლექტდება ნაკრები.

ოთარ მაღლაკელიძე

ერთიც და მორჩა

შავი იმპერატორი წასვლაზე ალაპარაკდა

AFP ლას ვეგასიდან

თანამედროვეობის კრივის ერთ-ერთი უძლიერესი მოკრივის ფლოიდ მეიველერ-უმცროსის საგმირო საქმეებზე გუშინაც გიამბეთ. ამერიკელმა მუშტის მქნეველმა საშუალო წონაში WBC-ს ვერსიით, ჩემპიონი არგენტინელი კარლოს ბალდომირი სასტიკად გალახა და კიდევ ერთი ქამარი დაისაკუთრა. არადა, ბალდომირისგან გაცილებით მეტს ელოდნენ — არგენიტნელიც თავიდან გაცხარებული ეტაკა მეტოქეს და მუშტების სეტყვა დაუშინა, მაგრამ მისი დარტყმების დიდი ნაწილი მიზანს აცდა. ბალდომირი მხოლოდ 79-ჯერ მისწვდა მეტოქეს, მაშინ, როცა უფრო გამოცდილმა მეიველერმა გაცილებით ცივსისხლიანად იჩხუბა და მისი მოქნეული მუშტები არგენტინელს 199-ჯერ დაეტაკა. ამიტომაც იყო, რომ ბრძოლის შემდეგ ბალდომირის სახე ფარშს ჰგავდა.

მეიველერს ეს ყველაფერი უკვე ყელში ამოსვლია და ამიტომაც კრივიდან წასვლას გეგმავს:

„კიდევ ერთხელ ვიჩხუბებ და მერე წავალ. კრივი ძალიან მიყვარს, მაგრამ მეტი აღარ შემიძლია — აღარც ბრძოლა მინდა და ფულიც საკმარისი მაქვს" — განაცხადა დიდმა ჩემპიონმა.

ვერც ვერავინ გაამტყუნებს — სხვებისგან განსხვავებით, რინგის დატოვება ჩემპიონის სახელით სწადია.

ძახა ლომაჯვილი

სულტანს სულთნობა მოუნდა

შენონ ბრიგსმა ზემძიმე წონაში ამერიკელებს ერთი საჩემპიონო ქამარი დაუბრუნა, დაამრცხა რა ბელარუსი სერგეი ლიახოვიჩი. მაგრამ დიდი შანსია, WBO-ს ქამარი ისევ პოსტსაბჭოურ სივრცეში დაბრუნდეს. ეს კი იმიტომ, რომ ამერიკელს უახლოესი ბრძოლის ჩატარება WBO-ს ტიტულის სავალდებულო პრეტენდენტ რუს სულტან იბრაგიმოვთან მოუწევს. სპეციალისტების უმარვლესობა ამ ბრძოლაში ფავორიტის სტატუსს სწორედაც რომ რუსთათარს მიაკუთვნებს.

ისიც აღსანიშნავია, რომ ბრიგსს ლიახოვიჩთანაც უშანსოდ ტოვებდნენ, მაგრამ ამერიკელმა ბელარუსი მაინც დასცა და თან როგორ — საერთოდ რინგიდან გადააგდო. წესით, იბრაგიმოვმა ბელარუსის მწარე გამოცდილება უნდა გაითვალისწინოს, თუმც იბრაგიმოვს სიფრთხილის არაფერი ეტყობა და თავის გამარჯვებაში დარწმუნებულია.

„ლიახოვიჩის წაგება მოულოდნელი იყო, მაგრამ რას იზამ... ახლა კი ბრიგსს უნდა ვეჩხუბო და საკმაოდ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ის ტიპური შავკანიანი მოკრივეა, რომელიც აგრესიული სტილით ჩხუბობს და მეტოქის მალე გატეხვას ცდილობს, მაგრამ თუ ეს არ გამოუვიდა, შემდეგ ველარაფერს ახერხებს. ბრიგსი ფიზიკურადაც მოიკოჭლებს და 4-5 რაუნდის მერე აღარაფრის მაქნისია. თან მის სტილს ვიცნობ, რადგანაც არაერთხელ ვყოფილვართ სპარინგ-პარტნიორები" — ტრაბახობს სულტანი.

თუმც იბრაგიმოვს ავიწყდება, რომ ლიახოვიჩმაც ასე წაიტეხა ცხვირი — ბელარუსმაც იძახა, სამი რაუნდის მერე ამერიკელი ვერაფერს დამაკლებსო, მაგრამ იანკიმ მეთორმეტე რაუნდში მოისროლა ტრიბუნებზე. როგორც ჩანს, იბრაგიმოვს ამ ბრძოლისთვის არ უყურებია, თორემ ასეთი სიბრიყვე აღარ უნდა გაემეორებინა.

ძახა ლომაჯვილი

წითელი და ყვითელი

მთავარქალი მადრიდში გაირკვევა

AFP მადრიდიდან

დღეს მადრიდში წლის შემაჯამებელი ტურნირი იწყება, სადაც სეზონის საუკეთესო რვა ჩოგნის მქნეველი ქალბატონი შეიკრიბება. წლეულს ესპანეთის დედაქალაქში დიდი და საინტერესო ბატალიები გაიმართება — კასტილიაში ჩასული რვა ჩოგბურთელიდან ხუთი ყოფილი პირველი ნომერია, ოთხი კი ამ ტურნირის ექს-ჩემპიონი.

ეს შეჯიბრი კიდევ იმით იპყრობს ყურადღებას, რომ სწორედ აქ უნდა გაირკვეს იმ ჩოგბურთელის ვინაობა, ვინაც სეზონს რეიტინგის სათავეში ჩაათავებს. ჯერჯერობით პირველზე ამელი მორესმოა, მაგრამ მადრიდში ტრიუმფის შემთხვევაში ფრანგის გადასწრება მარია შარაპოვასა და ჟუსტინ ენინ-არდენსაც შეეძლებათ.

ამ სამეულიდან ტურნირის მოგების უკეთესი შანსი ალბათ მაინც შარაპოვას აქვს, რადგანაც რუსი აშკარად საუკეთესო ფორმაშია — აშშ-ს ღია ჩემპიონატის მოგება იქით იყოს და უკანსაკნელ კვირებში მაშამ ციურიხსა და ლინცში იხეირა და მადრიდს მართლაც ოპტიმალურ ფორმაში ხვდება.

„საკუთარ ძალებში დარწმუნებული ვარ — არც სათამაშო პრაქტიკა მაკლია და დასვენებულიც ვარ. შარშანდელისგან განსხვავებით, ტრავმაც არ მაწუხებს, რის გამოც წარმატების იმედი ნამდვილად მაქვს“ — საბრძოლოდ არის განწყობილი შარაპოვა.

რუსისგან განსხვავებით, ტრავმით მოუწევს თამაში სეზონის ლიდერსა და ტურნირის მოქმედ ჩემპიონ ამელი მორესმოს. მხარბეჭიანმა ფრანგმა წლეულს ორი სლემ-ტურნირი მოიგო, მაგრამ უიმბლდონის შემდეგ ღირებული აღარაფერი უქნია, ბოლო კვირებში კი სულაც არ უთამაშია და მადრიდში როგორ ფორმაში იქნება, ალბათ თვითონაც არ იცის:

„მხარი ახლაც მაგრად მაწუხებს, რის გამოც 100 პროცენტით ნაღდად ვერ მოვაწოდებ, მაგრამ, უმეტესობისგან განსხვავებით, დასვენებული ვიქნები“ — განაცხადა ესპანეთში ჩასულმა მორესმომ. ისე, ფრანგს მხოლოდ ამის იმედი თუ აქვს, საეჭვოა, თავისთვის რაიმე სასარგებლოს გამორჩეს.

არც ენინია უკეთეს დღეში — ჭინკა ბელგიელი ფედერაციის თასის ფინალის მეხუთე მატჩში მიღებული ტრავმის შემდეგ ხომ კორტზე ერთხელაც არ გასულა. ახლა კი პირდაპირ საუკეთესო ჩოგბურთელებთან მოუწევს შეჯახება — ბენილუქსელს კიდევ უფრო გაურთულებს საქმეს.

ისე, ენინი და მორესმო ერთ, „ყვითელ“ ჯგუფში მოხვდნენ მაგრამ სიკვდილის ჯგუფად მაინც მეორე „წითელი“ ჯგუფი უნდა ჩითვალოს, სადაც შარაპოვას გარდა კიმ კლაისტერსი და ორი რუსი — სვეტლანა კუზნეცოვა და ელენა დემენტიევა მოხვდნენ.

„წითელ“ ჯგუფში მართლაც უძლიერესი შემადგენლობა შეიკრიბა, რომლის თითოეულ წევრს შეუძლია, საერთო გამარჯვებაზე პრეტენზია იქონიოს. კლაისტერსის ძალა ყველასთვის კარგად არის ცნობილი — ბელგიელის გულშემატკივრებს მხოლოდ მისი ხანგრძლივი უთამაშებლობა აფიქრებთ. თუმც გასულ კვირას ჰასელის ტურნირის მოგებით ფუმფულა ბელგიელი მადრიდში მშვენიერ ხასითზე ჩავიდა.

აი, დემენტიევა და კუზნეცოვა აშკარა ფავორიტები შეიძლება არც არიან, მაგრამ თამაში თუ წაუვიდათ, მათი გამჩერებელი ძნელად მოიძებნება. ეს განსაკუთრებით ლენაზე ითქმის, რომელსაც გამარჯვების ამბიცია არც დაუმალვს.

„ყვითელ“ ჯგუფში კი ენინ-მორესმოს გარდა კიდევ ერთი რუსი ნადია პეტროვა და სამი წლის შემდეგ ჩოგბურთში მობრუნებული მარტინა ჰინგისი არიან.

კახა ლომაშვილი

ანა ტატიშვილი

სარეიტინო ადი-ჩადი

საჩოგბურთო სეზონი ფაქტობრივად დასრულდა — ATP-სა და WTA-ს დონეზე წლის შემაჯამებელი ტურნირებიღა დარჩა გასამართი და ამათ შემდეგაც, გუშინ გამოქვეყნებულ კლასიფიკაციებში პირველ რვეულებშიღა თუ შეიცვლება სურათი. მაგრამ ეს ცვლილებები, ბუნებრივია, როჯერ ფედერერს არ შეეხება — პირველია და პირველზე დარჩება კიდეც.

ჩვენ კი ქართველების ამბავი ვიკითხოთ — კაცთა რეიტინგში ორი, ხოლო ქალთაში ცხრა ქართველია და მათ პოზიციებში ბოლო კვირას მანძილზე რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა.

ATP-ის განთესვის რეიტინგში ირაკლი ლაბაძემ ერთი ნაბიჯით წინ წაიწია, ხოლო ლადო ჩიხლაძემ პირიქით — ორი ადგილი დაკარგა. სადღეისოდ ლაბაძე 258 სარეიტინგო ქულით 162-ეა, ჩიხლაძე კი 43 ქულით 564-ე საფეხურზე იმყოფება. რაც შეეხება საჩემპიონო რბოლას, ირაკლი 33 ქულით კვლავაც 120-ე პოზიციაზე იმყოფება.

ქართული ქალთა ჩოგბურთის ლიდერმა მაკა ჩახნაშვილმა 7 პოზიცია დაკარგა და 179,5 ქულით 151-ე ადგილზე ჩაინაცვლა. სამაგიეროდ, ზუსტად შვიდივე ნაბიჯით წინ, 299-ე საფეხურზე აინაცვლა ანა ტატიშვილმა, ვისაც 75,75 ქულა აქვს: ოთხი ადგილით მაღლა, 320-ეზეა 67,0 სარეიტინო ქულის მქონე სოფო მელიქიშვილი.

ამათ გარდა ათასეულში კიდევ ოთხი ჩვენებურია. სალომე დევიძემ, ვისაც 22,25 ქულა აქვს, უკვე მრავალჯერ ნახსენები 7 ადგილით წინ წაიწია და 574-ე საფეხურს უწია; სოფო შაფათავამ პირიქით, ხუთი პოზიცია დაკარგა და 15,25 ქულით 689-ზე დაქვეითდა; ეკა გორგოძემ თავისი 12,0 ქულით სამი ნაბიჯი გადადგა წინ და ახლა 759-ეა, ხოლო მანანა შაფაქიძემ მაგიური შვიდი საფეხურით აინაცვლა და 8,25 ქულით 889-ე ადგილზე ავიდა.

კიდევ ორი ქართველი ათასეულს მიღმაა. თეონა ცერცვაძემ სამი პოზიცია მოიგო და 5,25 ქულით 1089-ე საფეხური დაიჭირა, ხოლო მარიამ ქურდაძემ ერთი ადგილი დაკარგა და 2,75 ქულით 1339-ე პოზიციაზე ჩაინაცვლა.

ოთარ მხეიძე

კაცები

განთესვის რეიტინგი

1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	7620
2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	4270
3. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	2725
4. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია)	2395
5. ენდი როდიკი (აშშ)	2315
6. ტომი რობრედო (ესპანეთი)	2275
7. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	2195
8. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	2130
9. მარიო ანჩიჩი (ხორვატია)	2060
10. ფერნანდო გონსალესი (ჩილე)	2015
11. ტომი ჰაასი (გერმანია)	1890
12. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი)	1876
13. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი)	1705
14. დავიდ ფერერი (ესპანეთი)	1475
15. იარკო ნიემინენი (ფინეთი)	1460
16. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)	1380
17. ენდი მიურეი (ბრიტანეთი)	1370
18. რიშარ გასკე (საფრანგეთი)	1365
19. რადეკ სტეფანეკი (ჩეხეთი)	1340
20. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	1315

საჩემპიონო რბოლა

1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	1524
2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	854
3. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	545
4. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია)	479
5. ენდი როდიკი (აშშ)	463
6. ტომი რობრედო (ესპანეთი)	455
7. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	439
8. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	426
9. მარიო ანჩიჩი (ხორვატია)	412
10. ფერნანდო გონსალესი (ჩილე)	403
11. ტომი ჰაასი (გერმანია)	378
12. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი)	372
13. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი)	341
14. დავიდ ფერერი (ესპანეთი)	295
15. იარკო ნიემინენი (ფინეთი)	292
16. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)	276
17. ენდი მიურეი (ბრიტანეთი)	274
18. რიშარ გასკე (საფრანგეთი)	273
19. რადეკ სტეფანეკი (ჩეხეთი)	268
20. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	263

ქალები

განთესვის რეიტინგი

1. ამელი მორესმო (საფრანგეთი)	3547
2. მარია შარაპოვა (რუსეთი)	3532
3. ჟუსტინ ენინ-არდენი (ბელგია)	3473
4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	2468
5. ნადია პეტროვა (რუსეთი)	2189
6. კიმ კლაისტერსი (ბელგია)	2110
7. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია)	1913
8. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	1875
9. პატი შნიდერი (შვეიცარია)	1659
10. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი)	1391
11. დინარა საფინა (რუსეთი)	1390
12. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)	1211
13. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი)	1144
14. ანა ივანოვიჩი (სერბეთი)	1053
15. ფრანჩესკა შიავონე (იტალია)	1032
16. ანასტასია მისკინა (რუსეთი)	1000
17. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი)	988
18. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)	986
19. ლინდსი დევენპორტი (აშშ)	980
20. ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია)	922

საჩემპიონო რბოლა

1. ჟუსტინ ენინ-არდენი (ბელგია)	3473
2. მარია შარაპოვა (რუსეთი)	3297
3. ამელი მორესმო (საფრანგეთი)	3022
4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	2668
5. ნადია პეტროვა (რუსეთი)	2166
6. კიმ კლაისტერსი (ბელგია)	1980
7. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	1944
8. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია)	1926
9. პატი შნიდერი (შვეიცარია)	1704
10. დინარა საფინა (რუსეთი)	1442
11. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი)	1393
12. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)	1290
13. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი)	1149
14. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)	1066
15. ანა ივანოვიჩი (სერბეთი)	1055
16. ფრანჩესკა შიავონე (იტალია)	1053
17. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი)	1052
18. ანასტასია მისკინა (რუსეთი)	1001
19. ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია)	932
20. შაჰარ პირი (ისრაელი)	913

ესპანეთს ზამთარი მოუკვდა

AFP

ერთი კვირის წინ „როიტერმა“ გაავრცელა ცნობა, რომ ესპანელთა პირველი და ერთადერთი ზამთრის ოლიმპიური ჩემპიონი ფრანსისკო ფერნანდეს ოჩოა მადრიდის მახლობლად, მშობლიურ ქალაქ სერსედილიაში პრინცესებთან — კრისტინასთან და ელენასთან ერთად საკუთარი ქანდაკების გახსნაში მონაწილეობდაო. რამდენიმე დღის მერე მოვიდა ცნობა, რომ 1972 წლის საპოროს ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი სამთო თხილამურობაში 56 წლის ფრანსისკო ფერნანდეს ოჩოა გუშინ დილით საკუთარ სახლში კიბოთი გარდაიცვალა.

აკოსტამ ოთხი წელი დაითქვა

მექსიკელი რუბენ აკოსტა, ვინც 1984 წლიდან ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის თავკაცობს, რამდენიმე დღის წინათ ოთხწლიანი ვადით კვლავ ამ ორგანიზაციის პრეზიდენტად აირჩიეს.

— 2009 წელს 75-ისა გავხდები. ჰოდა, დრო იქნება, რომ მოვისვენო. იუბილარი კაცი ამ პოსტზე კიდევ ერთ წელიწადს დავრჩები და გუდა-ნაბადსაც ავიკრავ. ამ პოსტის მიტოვება 1998 წელსაც მინდოდა, მაგრამ მაშინ ჩემი ღირსეული მემკვიდრე არ გამოჩნდა, ამიტომაც სავარძელი შევინარჩუნე, მაგრამ 2010 წელს ნამდვილად წავალ — თქვა რუბენ აკოსტამ.

ავთანდილ ბყვიშელი

კენ-მარათონი

AP ნიუ იორკიდან

მარილსონ დოს სანტოსმა ნიუ იორკში კენიელები დაჯაბნა

მარათონელები კონტინენტიდან კონტინენტზე დადიან და 42 კილომეტრზე თავქუდმოგლეჯილნი დარბიან. გამარჯვებულთა საპატიო კვარცხლბეკზე ასულთა ვინაობა იცვლება, მაგრამ იქ უცვლელად ვხედავთ კენიელებს, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში სამივე საფეხურს ავსებენ და ამაყად გადმოჰყურებენ ამაოდ დამშვრალ მეტოქეებს.

ახლაც, ამ უქმეებზე, ავსტრალიაში, ამერიკაში, აზიასა და ევროპაში მარათონელთა დიდი საერთაშორისო ტურნირები გაიმართა და კენიის მარათონელთა ექსპორტი ოთხივე კონტინენტს გასწვდა, თანაც ისინი უმეტლოდ არსად დარჩენილან. ეგ კი არა, სეულში გამართული საერთაშორისო მარათონში კენიელებმა უკლებლივ ყველა ოქრო-ვერცხლი დაისაკუთრეს და ბრინჯაოც ზედ მოიყოლეს. აქ ყველას აჯობა მბოტემ (2:08,13), კიპროპი (2:09,05) მეორე ადგილზე გავიდა, ფილიპი კი (2:09,35) — მესამეზე.

პარიზულ მარათონში კენიელმა ტარუსმა იმარჯვა (2:17.45). მეორე ადგილზეც მისი თანაგუნდელი ლომოლ ლოპიო (2:18.07) გავიდა, მესამეზე კი ყველაზე სახელგანთქმული ეთიოპიელის, მთელ დედამიწაზე მარათონელთა პირველი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის აბებე ბიკილას თანამემამულე კენენისა ბეკელე (2:20,04) გავიდა.

ყველაფერი შედარებითია და კენიელებს შედარებით ბედმა უმუხთლათ ნიუ იორკის მარათონში, სადაც ყველას ბრაზილიელმა მარილსონ დოს სანტოსმა აჯობა (2:09,58). ამ კაცმა არა მხოლოდ იმით მიიპყრო ყურადღება, რომ ფეხმარდ კენიელებს სძლია, არამედ იმითაც, რომ გახდა პირველი ბრაზილიელი, ვინც ნიუ იორკის მარათონი მოიგო.

საპატიო კვარცხბეკის უმაღლეს საფეხურზე აღზევებულ ამ ბრაზილიელს ორივე მხრიდან მხარი მაინც კენიელებმა კიოგორამ (2:10.06) და ტერგატმა (2:10.10) დაუმშვენეს.

ნიუ იორკის მარათონი იმითაც იყო საინტერესო, რომ მასში სახელგანთქმული ველომრბოლი ლენს არმსტრონგიც მონაწილეობდა. და არა მხოლოდ მონაწილეობდა, ბევრისგან განსხვავებით, ბოლომდეც ირბინა.

ნიუ იორკში ქალთა მარათონი ლატვიელმა ელენა პროკოპჩუკმა მოიგო. თანაც 11 წლის განმავლობაში იგი გახდა პირველი ქალი, ვინც ნიუ იორკის მარათონში მეორედ გაიმარჯვა.

ასე რომ, აქ პირველობისთვის დაწესებული ჯილდო — 130 000 დოლარი — მისთვის ალალია.

მეორე უკრაინელი გლადირირი (2:36.05) იყო, ხოლო მესამეზე ისევ და ისევ კენიელი ნდერბა გავიდა (2:26.58), ვინც თანამემამულე იეპტოს ფინიშთან მხოლოდ წამის ერთი მეასედით მიასწრო.

ავთანდილ ბყვიშელი

რეშკაც რეშიცასი იყო და პრიოლიც

ჭანტურიას მეტალურგი მარტენის ღუმელში ჩარჩა

ჩემპიონთა ლიგა. ჯაჭვი

ჯგუფური ეტაპი. მეხუთე ტური

A ჯგუფი

ბოსნა (ბოსნია) 39:28 პოვარსკა ბისტრიცა (სლოვაკეთი)
ვესპრემი (უნგრეთი) 23:21 პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი)
პორტლენდი 8 ქულა, ვესპრემი 8, ბოსნა 4, ბისტრიცა 0

B ჯგუფი

მეშკოვო (ბელარუსი) 23:28 კადეტენ შაფჰაუზენი (შვეიცარია)
სიუდად რეალი (ესპანეთი) 32:25 პიკ სეგედი (უნგრეთი)
სიუდად რეალი 10, შაფჰაუზენი 5, პიკ სეგედი 5, მეშკოვო 0

C ჯგუფი

ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) 33:22 ვისლა (პოლონეთი)
კოლდინგი (დანია) 32:32 შამბერი (საფრანგეთი)
კოლდინგი 9, შამბერი 7, ვისლა 2, ცრვენა ზვეზდა 2

D ჯგუფი

მეტალურგი (მაკედონია) 28:32 ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი)
ზაგრები (ხორვატია) 21:23 ფლენსბურგი (გერმანია)
ფლენსბურგი 10, ჩეხოვსკიე მედვედი 6, ზაგრები 4, მეტალურგი 0

E ჯგუფი

კილი (გერმანია) 34:32 სვენდბორგ გუდმე (დანია)
კონსტანცა (რუმინეთი) 29:29 ბანიკ კარვინა (ჩეხეთი)
კილი 10, კონსტანცა 5, სვენდბორგ გუდმე 4, ბანიკ კარვინა 1

F ჯგუფი

პივოვარნა ლაშკო (სლოვენია) 38:27 სანდფიორდი (ნორვეგია)
გუმერსბახი (გერმანია) 38:29 ფრამ რეიკიავიკი (ისლანდია)
გუმერსბახი 10, პივოვარნა ლაშკო 8, სანდფიორდი 2, ფრამი 0

G ჯგუფი

ბარსელონა (ესპანეთი) 38:21 გოლდ კლუბ კოზინა (სლოვენია)
პანელინიოსი (საბერძნეთი) 34:30 ჰამარბი (შვედეთი)
ბარსელონა 10, გოლდ კლუბი კოზინა 4, პანელინიოსი 4, ჰამარბი 2

H ჯგუფი

მონპელიე (საფრანგეთი) 37:24 A1 ბრეგენცი (ავსტრია)
ვალიადოლიდი (ესპანეთი) 31:21 პორტოვიკ იუჟნი (უკრაინა)
ვალიადოლიდი 9, მონპელიე 8, პორტოვიკ იუჟნი 2, A1 ბრეგენცი 1

ლიგის თამაშებამდე „ჩელენჯ კაპის“ თასზე „ხელბურთის კლუბ თბილისის“ გამოსვლაზე ვთქვათ.

საქართველოს ბრინჯაოს პრიზიორ თბილისელებს მეტოქედ რუმინეთის „რეშიცა“ ჰყავდათ. ორივე მატჩი რეშიცაში ჩატარდა და მასპინძელთა დამაჯერებელზე მეტი უპირატესობით დასრულდა — 41:25 და 44:30.

ჩემპიონთა ლიგაში სადებიუტო სეზონს უქულოდ ამთავრებს სკოპიეს „მეტალურგი“, რომლის შემადგენლობაშიც 24 წლის რევაზ ჭანტურია თამაშობს. მაკედონიის ჩემპიონმა მეხუთე შეხვედრაც წააგო და ჯგუფის ფსკერზე დარჩა.

მეტალურგებს რუს „დათვებთან“ პირველ წრეში 15-ბურთიანი მარცხის სარევანშოდ დიდი სურვილი კი ჰქონდათ, მაგრამ წარმატებისთვის მხოლოდ მონდომება საკმარისი არ აღმოჩნდა. რეზოს გუნდელებმა სკოპიეში, თავიანთ მეოდანზე ტაიმიც და მთელი მატჩიც ოთხგოლიანი სხვაობით დათმეს. ცაცია ქართველ ფრთას ამჯერად გოლი არ გაუტანია.

ფანტასტიკური თამაში შედგა კილში, სადაც გათამაშების ერთ-ერთი ფავორიტი საშუალო ძალის დანიურ „სვენდბორგ გუდმეს“ მასპინძლობდა. კილის „ოსცეჰალეში“ თავისიანების მხარდასაჭერად 7700 ქომაგი მივიდა. ორივე გუნდს ტრავმის მიზეზით, ორ-ორი წამყვანი მოთამაშე აკლდა, თანაც მატჩის დასაწყისშივე სტუმართა გამთამაშებელი ტომას მოგენსენი ისე დაშავდა, რომ ჰოსპიტალში წასაყვანი შეიქნა.

AFP

დასაწყისიც — 3:0 და მთელი ტაიმიც — 17:13 დანიელების იყო. შესვენების შემდეგ მათ უფრო გაზარდეს უპირატესობა — 22:16 და სენსაციის სუნიც დატრიალდა. საფინალო სასტვენამდე 12 წუთით ადრე სვენდბორგელები ოთხი ბურთით იყვნენ წინ — 30:26. მერე კი სასწაული მოხდა: მაყურებელთა გასაოცარი მხარდაჭერით აღფრთოვანებულმა კილელებმა ცხრაწუთიანი მონაკვეთი მეტოქეს 7:0 მოიგეს და ოთხბურთიანი პასივი დასრულებამდე სამნახევარი წუთით ადრე 33:30 გახდა. დანიელები არ გატყდნენ და ბოლო წუთზე ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირეს — 32:33, მაგრამ ათი წამიღა რჩებოდა, როცა კრისტიან ზეიცმა ზუსტი ტყორცნით თამაშს წერტილი დაუსვა — 34:32.

სამივე გერმანული კლუბი — „კილი“, „ფლენსბურგი“, „გუმერსბახი“ — ისე გავიდა ვადამდე ჩლეიოფში, რომ ქულაც არ დაუკარგავს.

პირველი მარცხი ეწვნია ლიგის ექსჩემპიონმა „პორტლენდ სან ანტონიომ“, თუმც ამ წაგებას ჰამპლონელთა სატურნირო ვითარებაზე გავლენა არ მოუხდენია და ესპანეთის ოთხივე წარმომადგენელმა უპრობლემოდ მოიპოვა მეორე ეტაპის საგზური.

ბომბარდირთა შორის 40-40 გოლით ბელარუსი სერგეი ხარბოკი („ცელიე პივოვარნა ლაშკო“) და ისლანდიელი გუდიონ ვალურ სიგურდსონი („გუმერსბახი“) ლიდერობენ. ერთი ბურთით ნაკლები გაიტანა მაკედონიელმა კირილ ლაზაროვმა („ვესპრემი“).

ჯგუფური ეტაპის დასკვნითი ტური კვირის ბოლოს ვაიმართება და თექვსმეტივე მერვედფინალისტიც გაირკვევა.

გია ახალაძე

სისხლი არ გყოფნით?!

ხელები შორს ჩვენი დნმ-სგან!

პაოლო ბეტინი და ალეხანდრო ვალვერდე ანტისადოპინგო კომიტეტს შეუტიეს

ამ ზაფხულს ველოსამყაროში ჩამომდგარი დოპინგ-ნისლი თანდათან იფანტება. ეგრეთწოდებული ფუენტესის საქმე თითქმის ჩაიფარცხა. დოპინგ-სკანდალებში გასვრილ ესპანელ ექიმ ეუხენიო ფუენტესთან ურთიერთობაში მხილებული და ზედ ტურ დე ფრანსის წინ თავიანთი გუნდების მიერ მოკვეთილი მრბოლებიც გამართლებულები არიან, მათ შორის იტალიელი ივან ბასო და კიდევ რამდენიმე სახელიანი ესპანელი მრბოლი. იან ულრიხს კი ალბათ დღე-დღეზე გაამართლებენ. დოპინგით მოცულლუტის სახელი შერჩა მხოლოდ ტურ დე ფრანსზე ნაჩემპიონებ ამერიკელ ფლოიდ ლენდისს, ისიც იმიტომ, რომ მას მართლა აღმოაჩნდა სისხლში აკრძალული ნივთიერება. ლენდისი ახლა სასამართლოს ელის.

სხვამხრივ კი დოპინგ-ხმაური თანდათან ცხრება, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს თემა ამოუწურავია და აკრძალული პრეპარატების მხმარებელთა ძიება მანამ იქნება აქტუალური, სანამ თავად ეს პრეპარატები იარსებებენ. ანტიმედოპინგეებმა ახალი წინადადება შემოიტანეს, ყველა ველომრბოლი სისხლის მოლეკულების კი არა, დნმ-ს დონეზე უნდა გამოვიკვლიოთო და ყველა ღონეს ხმარობენ, ეს მეთოდი პრაქტიკაში რომ დაინერგოს.

ამ ახალი შემოტევისგან თავის დასაცავად ხმა აღიმაღლეს ველომრბოლებმა, მათ შორის წლეულს მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვებულმა იტალიელმა პაოლო ბეტინიმ და „პრო-ტურ-2006"-ის მომგებმა ესპანელმა ალეხანდრო ვალვერდემ.

„გვესმის, რომ დოპინგთან ბრძოლა აუცილებელია, მაგრამ დნმ-ს ტესტის აღება პირდაპირ უცერემონიო შეჭრაა ადამიანის პირად ცხოვრებაში" — ამბობს ვალვერდე.

კოტე ყორშია

ვადას ვადა



რიჩარდ პაუნდს ყავლი გასდის

მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტოს (ვადა) კანადელ მეთაურს, რიჩარდ პაუნდს, რომელიც ოლიმპიურ მოძრაობაში უპატიოსნესი კაცის რეპუტაციით სარგებლობს და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საჭეთმპყრობელის პოსტზე ერთ-ერთ კანდიდატად ითვლებოდა, შანსი არ აქვს, თავისი ამჟამინდელი სავარძელი შეინარჩუნოს. იგი უშანსოა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვადის წესდება შეიცვლება. ამის თაობაზე განაცხადა ვადას საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა ფრედერიკ დონზმა.

„მოქმედი წესდების მიხედვით, ვადას წევრთა ვალდებულებების შესრულების ვადა სამი წელიწადია — განმარტავს ფრედერიკ დონზი — შეგახსენებთ, რომ რიჩარდ პაუნდს პრეზიდენტობის ვადა 2007 წლის ნოემბერში ეწურება. ამ დროს ვადას აღმასკომმა 16 სექტემბერს თავის სხდომაზე ოფიციალურად მოიწონა ის რეკომენდაციები, რომლებიც ვადას წესდების შეცვლას ეხება. ამ შემოთავაზებულ სიახლეთაგან ერთ-ერთი ფორმატის „სამჯერ სამი წლით" შეცვლა და საერთოდ, ვადას ჩინოვნიკთა სამსახურის ვადაზე შეზღუდვის გაუქმება. ამის მიუხედავად, რიჩარდ პაუნდს მეოთხე ვადით პრეზიდენტობის შენარჩუნების შანსი არა აქვს. საქმე ისაა, რომ შემოთავაზებულ წინადადებებს შორის არის თხოვნა ვადას პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს შორის როტაციის პრინციპის მიღების თაობაზე. ამ პრინციპის თანახმად, ვიცე-პრეზიდენტი სახელმწიფო ორგანოს უნდა წარმოადგენდეს და პირიქით. ამასთან, პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის ვადის 6 წლით შეზღუდვას ითხოვენ, რათა როტაცია რეგულარული გამოვიდეს.

რიჩარდ პაუნდი ვადას პრეზიდენტობამდე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი იყო. ასე რომ, მან ნებისმიერ შემთხვევაში პოსტი სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელს უნდა დაუთმოს.

ჰოკეი

NHL რეგულარული ჩემპიონატი

5 ნოემბერი

რეინჯერსი 3:4 ბუფალო
0:1 3:1 0:1 0:1 (ოვერტაიმი)

ერთიანული ბიულეტენი

0:1 ვანეკი (4), 1:1 იაგრი (21), 2:1 პრუხა (23), 3:1 ნიულანდერი (30), 3:2 ბრიერი (34), 3:3 პომინვილი (49), 3:4 ბრიერი (64)

აღმოსავლეთ კონფერენცია

ატლანტიკა	თ	მ	წ	სწ	შ	ქ
ნიუ ჯერსი	13	7	5	1	32:38	15
რეინჯერსი	14	7	6	1	50:51	15
პიტსბურგი	11	7	4	0	39:30	14
აილენდერსი	13	6	5	2	37:40	14
ფილადელფია	13	3	9	1	28:53	7
ჩრდილო-აღმოსავლეთი						
ბუფალო	14	12	1	1	63:39	25
ტორონტო	16	8	5	3	54:56	19
მონრეალი	13	7	3	3	43:37	17
ბოსტონი	11	4	5	2	29:43	10
ოტავა	12	5	7	0	37:30	10
სამხრეთ-აღმოსავლეთი						
ატლანტა	16	10	3	3	57:44	23
კაროლინა	15	7	6	2	48:53	16
ვაშინგტონი	13	5	4	4	43:45	14
ფლორიდა	15	6	7	2	41:49	14
ტამპა	14	6	7	1	45:43	13

დასავლეთ კონფერენცია

ცენტრი	თ	მ	წ	სწ	შ	ქ
დეტროიტი	14	9	4	1	38:31	19
ნეშვილი	13	9	3	1	47:39	19
სენტ ლუისი	13	4	6	3	34:44	11
კოლუმბუსი	12	4	7	1	28:39	9
ჩიკაგო	13	4	9	0	35:47	8
ჩრდილო-დასავლეთი						
მინესოტა	13	10	3	0	41:27	20
კოლორადო	14	7	5	2	46:43	16
ვანკუვერი	15	7	7	1	38:37	15
ედმონტონი	13	7	6	0	38:36	14
კალგარი	13	4	7	2	34:39	10
წყნარი ოკეანე						
ანაჰაიმი	14	10	0	4	50:33	24
დალასი	13	11	2	0	42:24	22
სან ხოსე	15	10	5	0	46:34	20
ლოს ანჯელესი	16	4	9	3	36:48	11
ფინიქსი	14	4	10	0	36:63	8

თ — თამაში, მ — მოგება, წ — წაგება, სწ — საოვერტაიმო წაგება, შ — შაიბები, ქ — ქულები

ბუფალოელმა ტომაშ ვანეკმა (№26) რეინჯერსელ კევინ ვიკსს შაიბა შემოატარა

ბომბარდირები: იარომირ იაგრი (რეინჯერსი) 23 (5+18); მარიან ჰოსა (ატლანტა) 21 (12+9); დანიელ ბრიერი (ბუფალო) 19 (5+14); ილია კოვალჩუკი (ატლანტა) 19 (9+10); ვინსენ ლეკავალიე (ტამპა) 19 (8+11); რეი უიტნი (კაროლინა) 19 (5+14); მაქსიმ აფინოგენოვი (ბუფალო) 19 (8+11); როდ ბრინდამორი (კარლინა) 19 (4+15); მაიკლ ნიულანდერი (რეინჯერსი) 19 (4+15); სიდნი კროსბი (პიტსბურგი) 18 (6+12); ბრენდან შენაჰენი (რეინჯერსი) 18 (12+6); მათს სუნდინი (ტორონტო) 18 (8+10); ჯო ტორნტონი (სან ხოსე) 18 (2+16).

გოლეადორები: მარიან ჰოსა, შენაჰენი 12-12; დერსი ტაკერი (ტორონტო), კრის დრური (ბუფალო), მარტინ სენ ლუი (ტამპა), ბრაიან როლსტონი (მინესოტა) 10-10; კოვალჩუკი, დაინიუს ზუბრუსი (ვაშინგტონი) 9-9.

ასისტენტები: იაგრი 18; ტორნტონი 16; ნიულანდერი, ბრინდამორი 15-15; ბრიერი, ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი), უიტნი 14-14; კროსბი, ალექსეი იაშინი (აილენდერსი) 12-12.

ნაყოფიერების კოეფიციენტი: ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი), ტომაშ ვანეკი (ბუფალო) 14-14; იაროსლავ მოდრი (დალასი) 11; რობერტ ლანგი (დეტროიტი), ჰენრიკ ტალინდერი (ბუფალო), ბრაიან კემპბელი (ბუფალო) 10-10; სტივ სალივანი (ნეშვილი), ბრიერი, დენის მარკოვი (დეტროიტი), დერეკ რუა (ბუფალო), ტომ პრეისინგი (ოტავა), ჯეისონ პომინვილი (ბუფალო) 9-9.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯელიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარგანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00